საქპატენტი

SAKPATENTI

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

# წლიური ანგარიში

# ANNUAL REPORT

# 2010

საქპატენტი
SAKPATENTI

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT
# 2010

თბილისი 2011 TBILISI

# შინაარსი
# TABLE OF CONTENTS


წინასიტყვაობა
PREFACE ........ 4

ორგანიზაციის შესახებ
ABOUT ORGANIZATION ........ 8

გამოგონებები
INVENTIONS ........ 12

სასარგებლო მოდელები
UTILITY MODELS ........ 21

დიზაინი
DESIGN ........ 26

სასაქონლო ნიშნები
TRADEMARKS ........ 33

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები
APPELLATIONS OF ORIGIN OF GOODS ........ 47

საავტორო უფლებები
COPYRIGHT ........ 49

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვა
PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS ........ 52

დავები
DISPUTES ........ 56

კანონშემოქმედება
LAWMAKING ........ 60

საერთაშორისო ურთიერთობები
INTERNATIONAL RELATIONS ........ 66

- მრავალმხრივი ხელშეკრულებები
  MULTILATERAL AGREEMENTS ........ 77
- ორმხრივი ხელშეკრულებები
  BILATERAL AGREEMENTS ........ 79
- მემორანდუმები ორგანიზაციებთან
  MEMORANDUMS WITH ORGANIZATIONS ........ 81

საინფორმაციო საქმიანობა
INFORMATION ACTIVITY ........ 82

ინფორმაციული ტექნოლოგიები
INFORMATION TECHNOLOGIES ........ 87

საგამომცემლო საქმიანობა
PUBLISHING ........ 90

ღონისძიებები
EVENTS ........ 95

სტატისტიკური მონაცემები
STATISTICAL DATA ........ 102

# წინასიტყვაობა

# PREFACE

საქართველო, როგორც უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა, მდიდარია ინტელექტუალური საკუთრებით. ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ საქართველო აღმოსავლეთის და დასავლეთის უძველესი ცივილიზაციების კერაა. ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე ცნობილი იყო ოქროსა და სხვა ლითონების დამუშავებით. აღნიშნულის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად მოიპოვება ისტორიულ წყაროებსა თუ მითოლოგიაში. ცნობები ოქროს საწმისისა და პრომეთეს შესახებ ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქართველ ხალხს ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ჰქონდა სწრაფვა ტექნოლოგიური პროგრესისაკენ. გარდა ამისა, ხელსაყრელი კლიმატური პირობები ხელს უწყობდა მიწათმოქმედების განვითარებას. საქართველო მიჩნეულია ღვინის სამშობლოდ და ყველასათვის კარგად ცნობილი უნიკალური თვისებების მქონე გავრცელებული ყურძნის ჯიშების გარდა, დღემდე შემორჩენილია 500-მდე სახეობის უძველესი ყურძნის ჯიში. ასევე, შემორჩენილია ქართული ხორბლის უძველესი ჯიშებიც, რაც მეტყველებს სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალ დონეზე.

ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილია უამრავი ხუროთმოძღვრების ძეგლი, რომელთა დიზაინი და შესრულების ტექნიკა არა მხოლოდ მნახველთა, არამედ, სპეციალისტების აღფრთოვანებასაც იწვევს. საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია ქართული პროზისა და პოეზიის ნიმუშები. ცხადია, ეს უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც ისტორიულად აქვს საქართველოს, უნდა განვითარდეს და მოერგოს თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნებს. თანამედროვე მსოფლიოში კი ქვეყნის გან-



Georgia, as a country of ancient culture and traditions, is rich in intellectual property. The geographical location of the country determined largely the fact that Georgia is a cradle of ancient Eastern and Western civilizations. Historical sources affirm that from the earliest times our country has been famous for goldsmith and metal works. Facts confirming this are found abundantly in historical sources and mythology, but the evidence of the Golden Fleece and Prometheus are a clear proof of Georgian people striving towards technological progress from the ancient period. Along with this, favorable climate conditions facilitated development of farming. Georgia is considered as a cradle of wine and apart from the widespread vine varieties with universally known unique features, up to 500 varieties of vine have survived up to the present day. Ancient wheat varieties have also survived, which points to the high level of agriculture development.

Our ancestors have created numerous

ვითარება წარმოუდგენელია ინოვაციური პროექტების არსებობის გარეშე. მსოფლიოს ყველა წარმატებული კომპანიის უდიდესი აქტივი ინტელექტუალური საკუთრებაა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვას.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი", მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ზოგად პოლიტიკას. შესაბამისად პირველი ამოცანა, რომელიც საქპატენტში ახალი გუნდის მოსვლის შემდეგ დაისვა, იყო ზოგადად უწყების ცნობადობის გაზრდა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამ მიზნით ჩატარდა სათანადო საგანმანათლებლო ღონისძიებები, საჯარო ლექციები, მომზადდა ტელე და რადიო გადაცემები. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებს მიეძღვნა არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია.

2010 წელს დაიწყო რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც მომავალში კონკრეტულ შედეგს მოგვიტანს. უპირველესად, უნდა აღინიშნოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრის დაარსების პროექტი, რომლის მიზანია გამოგონებების შემდგომი კომერციალიზაცია, ბიზნესთან დაკავშირება და ბაზარზე დანერგვა. ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა საერთაშორისო გამოცდილება (ისრაელი, გერმანია) და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, დაინტერესებული სამეცნიერო, სამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით აქტიურად დაიწყო აღნიშნულ პროექტზე მუშაობა.

2010 წელს საქპატენტმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დაიწყო მუშაობა რეგისტრირებული ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების ჩამონათვალის გაზრდისა და

architectural monuments, the design and technique of execution of which arouse admiration not only in mere viewers, but in specialists as well. Specimens of Georgian poetry and prose are generally known and renowned. Naturally, the great intellectual potential which Georgia possesses historically should be developed and adjusted to modern global requirements. In contemporary world, development of a country is inconceivable without the existence of innovative projects. The greatest asset of every successful business company in the world is intellectual property. Taking into account the above-mentioned, at the present stage, special importance is given to the protection of intellectual property in the country.

The National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti, according to the current legislation, is the legal entity of public law which defines the general IPR policy in the country. Hence, initial challenges of the newly appointed Sakpatenti team were capacity building and raising public awareness in intellectual property protection. To this end, targeted capacity building events and pubic lectures along with the TV and radio programs took place. Numerous articles on intellectual property protection were covered by different newspapers.

In 2010 several significant projects were launched, which will yield specific results in future. A project for the establishment of the Technology and Innovation Transfer Centers should be noted, which aims at further commercialization of inventions, linking them to businesses and introducing to the market. Shared international experience (Israel, Germany) and support of the donor organizations, together with involvement of academia, policy and business community, facilitated active launch of the project.

In 2010, in cooperation with the Ministry of

უკვე რეგისტრირებული დასახელებების ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ამჟამად, შესაბამისი პროცედურების დაცვით, მიმდინარეობს 18 ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. აღნიშნულ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული პროდუქციის დაცვისა და საქართველოს, როგორც სოფლის მეურნეობის მაღალი ხარისხისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნის ცნობადობის ამაღლების საქმეში.

2010 წელი მნიშვნელოვანი იყო საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც. ამ მიზნით მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ავტორთა საზოგადოებასთან. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა „საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო", რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ასევე, საქპატენტის მიერ შემუშავდა საავტორო უფლებების დაცვის სტრატეგია, რომელიც ამ ეტაპზე გადის შემდგომ პროცედურებს საკოორდინაციო საბჭოს წევრ უწყებებთან.

გასული წელი მნიშვნელოვანი იყო ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებისა და გაღრმავების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებით. საქართველოს, როგორც ევროინტეგრაციის გზაზე მდგარ ქვეყანას, პარტნიორული და მჭიდრო ურთიერთობები უნდა ჰქონდეს ევროპის ქვეყნების საპატენტო უწყებებთან. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია 2010 წელს ევროპის საპატენტო უწყებასთან დაწყებული აქტიური თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტები. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა საქართველოსა და უნგრეთის საპატენტო უწყებებს შორის. დაიწ-

Agriculture of Georgia, Sakpatenti has started to undertake necessary measures for the increase of number of registered Georgian geographical indications and appellations of origin, and to register already registered appellations of origin outside Georgia. At present, in compliance with set procedures, registration of 18 appellations of origin of Georgian wines is underway in all member states of the European Union as well as the United States of America. This Project is of high importance in terms of protection of Georgian products and increasing awareness of Georgia as a country producing high-quality and eco-friendly products.

The year 2010 was also significant from the viewpoint of copyright and neighboring rights protection. For this purpose, Sakpatenti cooperated actively with the Ministry of Culture and Monuments Protection and the Authors' Society of Georgia. Taking into account the urgency of the issue and relevant international experience, an Interagency Coordination Council for Copyright Protection under the auspices of the Prime Minister of Georgia has been established by the Decree of the President of Georgia. Sakpatenti drafted the Copyright Protection Strategy, which currently undergoes further procedures among the member agencies of the Coordinating Council.

The previous year was notable for establishing and strengthening international contacts in the area of intellectual property. Georgia, as a country on its path to European integration, should have close partner relations with patent offices of European countries. In this regard, active cooperation with the European Patent Office (EPO) in 2010 and ongoing joint projects are of significance. It is also noteworthy that a memorandum of understanding has been concluded between Sakpatenti and the

ყო აქტიური თანამშრომლობა აშშ-ს საპატენტო უწყებასა და ამერიკის განვითარების სააგენტოსთან. გასული წლის განმავლობაში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაცნობის მიზნით, საქპატენტი, ასევე, აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირთანაც.

2010 წელი აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ საქპატენტში განხორციელდა მნიშვნელოვანი საკადრო და სტრუქტურული ცვლილებები, რის შედეგადაც მოხდა სამუშაო ადგილების ოპტიმიზაცია და მაქსიმალურად შემცირდა მმართველი თანამდებობები. ორგანიზაციის ბიუჯეტის დაგეგმვისას კი ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე.

2010 წლის ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, წინა წლებთან შედარებით, შეინიშნება სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე განაცხადების რაოდენობის შემცირება, რაც გამოწვეულია 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისით. თუმცა, წლის მეორე ნახევარში განაცხადების რაოდენობის ზრდა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ, კრიზისის დაძლევის პროპორციულად, მომავალ წელს განაცხადების რაოდენობა კიდევ უფრო მოიმატებს.

ცხადია, შესავალ ნაწილში რთულია ამომწურავად მიმოიხილო ყველა ის პროექტი თუ ღონისძიება, რაც გასული წლის განმავლობაში განხორციელდა, ამიტომ 2010 წელს საქპატენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ანგარიშის მომდევნო თავებში.

Hungarian Patent Office. We had an active dialogue with the United States Patent and Trademark Office and the United States Agency for International Development. In order to build capacity of Sakpatenti staff and share international experience, in 2010 Sakpatenti was also engaged in active cooperation with the European Union.

The year 2010 was also marked as a year of significant reorganization and structural changes. Workforce was optimized and managerial positions were minimized. In the budget planning, attention was focused on introduction of modern technologies.

The statistical data of 2010 offered in the present annual report show the decrease of the number of applications for industrial property objects, as compared with the previous years. This is certainly due to the World financial crisis of 2008-2009. However, the increase of number of applications in the second half of 2010 gives grounds for assuming that, relative to overcoming the effects of the financial crisis, the number of applications will further increase next year.

Naturally, it is difficult to discuss comprehensively all projects and events carried out last year. Therefore, one can find more detailed information concerning the Sakpatenti activity in 2010 in the following chapters of the present report.

ირაკლი ღვალაძე
საქპატენტის თავმჯდომარე

IRAKLI GHVALADZE
SAKPATENTI CHAIRMAN



# ორგანიზაციის შესახებ

## ABOUT ORGANIZATION

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" არის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „საქართველოს საპატენტო კანონის" საფუძველზე. საქპატენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საქპატენტი ანგარიშვალდებულია პრემიერ-მინისტრის წინაშე.

საქპატენტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სახელმწიფოს სახელით გასცემს დამცავ დოკუმენტებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე, განსაზღვრავს და ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, წარმოადგენს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში და ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საქპატენტის ძირითადი ფუნქციაა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადების ექსპერტიზა და შესაბამისი დამცავი დოკუმენტების გაცემა. კერძოდ, საქპატენტის მიერ გაიცემა: პატენტები გამოგონებასა და სასარგებლო მოდელებზე, რეგისტრირდება სასაქონლო ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნები,

The National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti is a legal entity of public law operating independently in the area of intellectual property, set up on the basis of the ''Patent Law of Georgia''. The head of Sakpatenti is its Chairman, appointed to this post for a 4-year term by the President of Georgia. Sakpatenti is accountable to the Prime Minister.

Under the law, Sakpatenti grants titles of protection on intellectual property objects on behalf of the Georgian state, defines and carries out intellectual property policy of the state, represents Georgia in the World Intellectual Property Organization and other international organizations active in intellectual property matters.

The core function of Sakpatenti is examination of applications filed for protection of intellectual property objects and granting respective titles of protection.

ადგილწარმოშობის დასახელებები, დიზაინები და ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიები. საქპატენტი ახორციელებს, ასევე, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დეპონირებასაც.

საქპატენტში ფუნქციონირებს სააპელაციო პალატა, რომელიც კოლეგიური წესით იხილავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დაცვის კრიტერიუმებთან დაკავშირებულ დავებს.

2010 წლის დასაწყისში საქპატენტის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრებოდა 177 საშტატო ერთეულით, ხოლო წლის განმავლობაში უწყებაში ჩატარებული რეორგანიზაციისა და საშტატო ერთეულების ოპტიმიზაციის შედეგად 2010 წლის ბოლოსთვის საქპატენტის თანამშრომელთა რაოდენობა 122-მდე შემცირდა. რეორგანიზაციის შედეგად შეიცვალა, ასევე, უწყების სტრუქტურა და შემცირდა მმართველი თანამდებობების რაოდენობა.

In particular, Sakpatenti grants patents for inventions and utility models, registers trademarks, geographical indications, appellations of origin, designs and topographies of integrated circuits. Scientific, literary and artistic works are also deposited with Sakpatenti.

A Chamber of Appeals functioning at Sakpatenti hears disputes in connection with the decisions of Sakpatenti on intellectual property objects, as well as criteria of their protection.

At the beginning of 2010, the number of staff members equaled 177, whereas, as a result of reorganization of the office and optimization of the staff carried out during the year, the number of Sakpatenti staff members was reduced to 122 by the end of 2010. After the reorganization, the office structure has been streamlined and number of the managerial posts reduced.





*მოწმობების გადაცემის ცერემონია*
*Ceremony of granting certificates*
*საქპატენტის თავმჯდომარე გადასცემს მოწმობას კომპანიის „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ გენერალურ დირექტორს ზურაბ ჩხაიძეს*
*The Chairman of Sakpatenti is handing over the certificate to the Director General of company "Kakhetian Traditional Winemaking"*

## სტრუქტურა 2010 წლის დასაწყისი




## სტრუქტურა 2010 წლის ბოლოს



## STRUCTURE AT THE BEGINNING OF 2010




## STRUCTURE AT THE END OF 2010



# გამოგონებები

# INVENTIONS

საქართველოში გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება სამი გზით:

- ეროვნული პროცედურით, რაც მოიცავს „საქართველოს საპატენტო კანონის" შესაბამისად, განაცხადების უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენას.
- „საქართველოს საპატენტო კანონის" შესაბამისად, განაცხადების უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენით უცხოეთში მიღებული პატენტის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს „შემოტანილი პატენტის" გაცემას უცხოეთის პატენტის მფლობელზე.
- საერთაშორისო პროცედურით, რაც გულისხმობს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად საერთაშორისო განაცხადის წარდგენას.

საქპატენტში გამოგონებაზე განაცხადების მიღება დაიწყო 1992 წლის 1 მაისიდან. 2011 წლის პირველი იანვრისათვის საქპატენტში გამოგონებაზე შემოვიდა 9230 განაცხადი, რომელთაგან 5151 დარეგისტრირდა და გაიცა პატენტი, რაც შემოსული განაცხადების დაახლოებით 56%-ს შეადგენს.

1992 წლიდან შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობიდან ეროვნული პროცედურით შემოვიდა 6083 განაცხადი, ანუ საერთო რაოდენობის 66%, აქედან პატენტი გაიცა 3604-ზე (59%). მათ შორის, შემოტანილ პატენტზე შემოსული 70 განაცხადიდან პატენტი გაიცა 62

The exclusive right in an invention in Georgia may be acquired in three ways:

- Under the national procedure, which implies filing applications directly with the National Intellectual Property Center Sakpatenti, under the Patent Law of Georgia;
- On the basis of the patent obtained abroad, according to the Patent Law of Georgia, filing an application directly with Sakpatenti, which implies granting the so-called ''importation patent'' to a foreign patent holder;
- Under the international procedure, which implies filing an international application in accordance with the Patent Cooperation Treaty (PCT).

Sakpatenti began receiving applications for inventions from May 1, 1992. By January 1, 2011, 9230 applications were filed for inventions, of these 5151 ones were registered and patents were granted, which is about 56%. Over this period, 6083 applications were filed under the national procedure, which is 66% of the total number of the applications filed with Sakpatenti. Out of these 3604 patents (59%) were granted, among these, of the 70 applications filed for importation patents, patents were granted to 62 applications.

Under the international procedure 3147 applications were filed with Sakpatenti, of which 1547 patents were granted, which is approximately 49% of the total number.

განაცხადზე.

საერთაშორისი პროცედურით გამოგონებაზე საქპატენტში შემოვიდა 3147 განაცხადი, საიდანაც პატენტი გაიცა 1547-ზე, რაც შეადგენს საერთო რაოდენობის დაახლოებით 49%-ს.

2010 წელს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით, საქპატენტში გამოგონებაზე განსახილველად შემოვიდა 362 განაცხადი, მათ შორის ეროვნული პროცედურით – 200 განაცხადი, ხოლო საერთაშორისო პროცედურით – 162 განაცხადი.

2010 წელს ეროვნული პროცედურით შემოსული 200 განაცხადიდან ადგილობრივი განმცხადებლების მიერ შემოტანილია 183 განაცხადი, ხოლო უცხოელი განმცხადებლების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობა შეადგენს 14-ს. ამასთან, ზემოაღნიშნულ განაცხადებზე განმცხადებელი მოითხოვდა პრიორიტეტის დადგენას საქპატენტში შემოსვლის თარიღით – 4 შემთხვევაში, ხოლო პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღით –10 შემთხვევაში.

2010 წელს საქპატენტში შემოვიდა 3 უცხოური განაცხადი „შემოტანილ პატენტზე", განსხვავებით 2009 წელს შემოსული 12 განაცხადისა. აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2010 წლის 26 ივნისს საპატენტო კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ გაუქმდა „შემოტანილი პატენტის" ცნება.

2011 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ძალაში მყოფ გამოგონებათა საერთო რაოდენობამ, რომელიც მოიცავს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო პროცედურით დაცულ გამოგონებებს შეადგინა 1970.

2006-2010 წლებში საქპატენტში განაცხადების შემოტანის დინამიკა გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო და ეროვნული პროცედურებით საქპატენტში შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობა 2007 წლის ჩათვლით უწყვე-



*EPO-ს ექსპერტი ხესუს ლავინ ლიერმო. ტრენინგი თემაზე „კომპიუტერული გამოგონებები და მათი ექსპერტიზა"*
*EPO expert - Mr. Jesus Lavin Liermo. Training on Computer Implemented Inventions*

In 2010, 362 applications were filed with Sakpatenti both under the national and international procedures. Of these, 200 applications were filed under the national procedure and 162 applications were filed under the international procedure.

Of the 200 applications filed in 2010 under the national procedure, 183 applications were filed by local applicants, whereas the number of applications filed by foreign applicants was 14. Along with this, for these applications 4 applicants requested establishment of priority by the date of filing with Sakpatenti, and 10 – by the date of filing of the first application in a member country of the Paris Convention.

In 2010, 3 foreign applications – the so-called ''importation patents'' were filed with Sakpatenti, instead of the 12 applications, filed in 2009. This is due to the fact that as a result of the amendments made to the Patent Law of Georgia, ''importation patent'' is removed from the objects of protection.

By January 1, 2011 total number of valid inventions protected under the national and International procedure equaled 1970.

### 2006–2010 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2006–2010

| | | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 274 | 270 | 248 | 288 | 190 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 236 | 248 | 222 | 256 | 183 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 38 | 22 | 26 | 32 | 17 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 261 | 294 | 215 | 186 | 162 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 535 | 564 | 463 | 474 | 362 | TOTAL | |




ტად იზრდება. განსხვავებული სიტუაციაა 2008 წლის შემდეგ. აღნიშნულ პერიოდში შეიმჩნევა განაცხადთა რაოდენობის შემცირება, რაც გლობალური მოვლენაა და უკავშირდება მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ კრიზისს.

როგორც 2006-2010 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიერ საქპატენტში გამოგონებაზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა გვიჩვენებს, ყველაზე მეტი აქტიურობით გამოირჩევიან ფიზიკური პირები.

2010 წელს უცხოელმა განმცხადებლებმა შემოიტანეს 179 განაცხადი. ქვეყნების მიხედვით განაწილების სურათი გვიჩვენებს, რომ უცხოელ განმცხადებელთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ განმცხადებლები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რომლებმაც 2010 წელს საქპატენტში შემოიტანეს 45 განაცხადი. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს 2007 წელს

As the dynamics of filing applications in 2006-2010 shows, the total quantity of applications filed with Sakpatenti under the international and national procedures increased continuously to 2007. The situation is different from 2008. The decrease of the number of filed applications is a global phenomenon, which is presumably caused by the economic crisis in the world.

As the number of applications for inventions filed with Sakpatenti in 2006-2010 by local applicants (legal entities and natural persons) demonstrates, the greatest quantity were filed by legal entities.

In 2010, 179 applications were filed by foreign applicants. The breakdown according to countries shows that among the foreign applicants the most active were applicants from the USA, who filed 45 applications. Noteworthy, the number of applications filed from this country was

## 2006–2010 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების მიერ გამოგონებაზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

NUMBER OF APPLICATIONS FOR INVENTIONS FILED BY LOCAL APPLICANTS IN 2006-2010

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 11 | 5 | 7 | 7 | 6 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 225 | 243 | 215 | 249 | 177 | NATURAL PERSON |
| სულ | 236 | 248 | 222 | 256 | 183 | TOTAL |




## 2006–2010 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით

BREAKDOWN OF NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2006-2010 ACCORDING TO COUNTRIES

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 236 | 248 | 222 | 256 | 183 | GEORGIA |
| აშშ | 184 | 202 | 108 | 72 | 45 | USA |
| იაპონია | - | - | - | - | 20 | JAPAN |
| იტალია | 14 | 7 | 14 | 11 | 19 | ITALY |
| საფრანგეთი | 35 | 16 | 20 | 25 | 17 | FRANCE |
| დიდი ბრიტანეთი | 6 | 14 | 14 | 8 | 10 | GREAT BRITAIN |
| გერმანია | 11 | 8 | 7 | 12 | 2 | GERMANY |
| დანარჩენი | 49 | 69 | 78 | 90 | 66 | OTHER |
| სულ | 535 | 564 | 463 | 474 | 362 | TOTAL |



მიაღწია. მომდევნო წლებში განაცხადების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და 2010 წელს შეადგინა 362 განაცხადი. აღნიშნული კლების ტენდენციის მიუხედავად, აშშ-დან შემოსული განაცხადების რაოდენობამ მაინც საგრძნობლად გადააჭარბა სხვა ცალკეული ქვეყნიდან შემოსულ განაცხადებს და საერთო რაოდენობის 12% შეადგინა.

2010 წლის მონაცემებით, უცხოელ განმცხადებელთა შორის საქპატენტში შემოტანილი განაცხადების რაოდენობით მეორე ადგილზე არიან იაპონელი განმცხადებლები (20 განაცხადი – საერთო რაოდენობის 6%), ხოლო მესამე და მეოთხე ადგილს შვეიცარიელი და ფრანგი განმცხადებლები იკავებენ (შესაბამისად, 19 და 17 განაცხადი).

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს უცხოელ განმცხადებელ კომპანიათა შორის ყველაზე მეტი განაცხადი საქართველოში პატენტის მისაღებად შემოიტანა იაპონურმა კომპანიამ "TAKEDA PHARMACEUTICAL COMPANY LTD". აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ფრანგული კომპანიის "LES LABORATOIRES SERVIER"-ის ინტერესი საქართველოში პატენტის მისაღებად, რომელმაც 2010 წელს 15 განაცხადი შემოიტანა საქპატენტში.

on the increase from 2006 and reached the highest level in 2007. Afterwards, as compared with 2007, the number of applications decreased considerably. In 2010 it was on the lowest level and equaled 362 applications. In spite of the tendency of decrease, the total number reached 12% of the total amount and exceeded the amount of applications filed from other countries.

By the data of 2010, among foreign applicants, after the US applicants, Japanese applicants are on the second position (20 applications – 6% of the total number), and Swiss and French applicants occupy the third and fourth positions (19 ad 17 applications respectively).

In 2010 of the largest quantity of applications filed by foreign applicants for obtaining a patent of Georgia – 17 applications – were filed by Japanese company ''TAKEDA PHARMACEUTICAL COMPANY LTD''. French company ''LES LABORATOIRES SERVIER'' also retains interest in patents of Georgia. It filed 15 applications in 2010.

### 2010 წელს უცხოელ განმცხადებელთა შორის მაღალი აქტიურობით გამორჩეული კომპანიები

THE MOST ACTIVE FOREIGN COMPANIES ACCORDING TO THE APPLICATIONS FILED IN 2010

| | |
|---|---|
| TAKEDA PHARMACEUTICAL COMPANY LTD (Japan) | 17 |
| LES LABORATOIRES SERVIER (France) | 15 |
| AZUENDE CHIMICHE RIUTINE ANGELINI FRANCESCO A.C.R.A.F S.P.A. (Italy) | 10 |
| NOVARTIS AG (Switzerland) | 7 |
| GRINDEX, A JOINT STOCK COMPANY (Latvia) | 7 |
| WYETH LLC (USA) | 6 |
| IMPRESS GROUP B.V. (Netherlands) | 5 |
| PFIZER INC. (USA) | 4 |
| SYNGENTA PARTICIPATION AG (Switzerland) | 4 |
| SYNGENTA LIMITED (Great Britain) | 4 |
| GLENMARK PHARMACEUTICALS S.A. (Switzerland) | 4 |

დარგების მიხედვით ადგილობრივი განაცხადების განაწილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამოგონებათა ყველაზე მაღალი რაოდენობა, როგორც წინა წლებში, მოდის საერთაშორისო კლასიფიკაციის A განყოფილების შესაბამის დარგებზე (მედიცინა და ვეტერინარია; სურსათი და საკვები პროდუქტები; სოფლის მეურნეობა) და საერთო რაოდენობის დაახლოებით 33%-ს შეადგენს. ყველა დანარჩენ მნიშვნელოვან ჯგუფებს განეკუთვნება: F ჯგუფი (მექანიკა) – 22%, B (ტექნოლოგიური პროცესები) – 19%, C (ქიმია, მეტალურგია) – 8%, E (მშენებლობა და სამთო საქმე) – 8%, H (ელექტრობა) – 6% და G (ფიზიკა) – 4%. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ H განყოფილების შესაბამისი დარგის, კერძოდ, ტელეკომუნიკაციის დარგში განაცხადების რაოდენობა შემცირდა 60%-ით, C განყოფილების შესაბამისი დარგების (ქიმია და მეტალურგია) განაცხადთა რაოდენობა – 50%-ით, ხოლო B განყოფილების შესაბამისი დარგების (ტექნოლოგიური პროცესები) განაცხადთა რაოდენობა – 23%-ით.

ადგილობრივისაგან განსხვავებით, უცხოურ გამოგონებათა 52% მიეკუთვნება საერთაშორისო კლასიფიკაციის C განყოფილების დარგებს, რომელთაგან დაახლოებით 90% ქიმია და მეტალურგიაა, დანარჩენი კი განეკუთვნება ფარმაკოლოგიაში გამოსაყენებელ ორგანულ ნივთიერებებს.

რაც შეეხება A განყოფილებას (მედიცინა და ვეტერინარია; სურსათი და საკვები პროდუქტები; სოფლის მეურნეობა), მისი წილი საერთო განაცხადების რაოდენობიდან შეადგენს 26%-ს, რომელშიც უდიდესი ნაწილი უკავია მედიცინასთან დაკავშირებულ გამოგონებებს და შეადგენს დაახლოებით 90%-ს.

2010 წელს აღსანიშნავია B განყოფილებას (ტექნოლოგიური პროცესები) მიკუთვნებული უცხოური განაცხადების

The analysis of breakdown of local applications according to branches (Sections of the International Classification) shows that the largest quantity of inventions was again in the branches corresponding to Section A (medicine and veterinary; food and foodstuffs; agriculture) and is about 33% of the total amount. All other important groups belong to the respective branches of F (mechanical engineering) – 22%, B (technological processes) – 19%, C (chemistry, metallurgy) – 8%, E (building; mining) – 8%; H (electricity) – 6% and G (physics) – 4%. Along with this, the number of applications belonging to Section H, namely, telecommunications branch, decreased by 60%, the number of applications belonging to branches of Section C (chemistry, metallurgy) decreased by 50% as compared with the previous year, and the number of applications belonging to branches of Section B (technological processes) decreased by about 23%.

Unlike local applications, most of the foreign inventions belong to the respective branches of Section C – 52 %, and their majority (about 90 %), as in previous years, again represent organic substances used in pharmacology.

As regards Section A, its portion is 26%, mainly in medicine again (about



*GTZ-ის სემინარი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის*
*GTZ seminar for representatives of business*

## 2006–2010 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2006-2010 ACCORDING TO BRANCHES

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 74 | 75 | 76 | 87 | 60 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 28 | 48 | 41 | 44 | 34 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 39 | 30 | 20 | 28 | 14 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 12 | 23 | 10 | 19 | 15 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 47 | 42 | 36 | 42 | 41 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 21 | 20 | 20 | 20 | 8 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 12 | 10 | 19 | 13 | 11 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 236 | 248 | 222 | 256 | 183 | TOTAL |




რაოდენობის ზრდა – 16 განაცხადი (2009 წელს შემოსულია 7).

2010 წელს საქპატენტის მიერ გაცემულია 258 პატენტი გამოგონებაზე, ამასთან ადგილობრივ და უცხოელ განმცხადებლებზე გაცემული პატენტების რაოდენობა თითქმის თანაბარია.

2006-2010 წლებში ადგილობრივ განმცხადებლებზე გაცემული პატენტების დინამიკა გვიჩვენებს, რომ იურიდიულ პირებზე გაცემული პატენტების რაოდენობა მაღალ ნიშნულზე ადის 2006 წელს და საერთო რაოდენობის 6% შეადგენს, ხოლო 2008 წლიდან მცირდება 5-დან 1%-მდე.

2010 წელს საქპატენტში, როგორც „მიმღებ უწყებაში" (როცა ადგილობრივ განმცხადებელს სურს განაცხადი დაარეგისტრიროს საზღვარგარეთ), სულ

90%). It is also noteworthy that the number of foreign applications belonging to Section B (technological processes) increased, and instead of 7 applications filed in 2009, 16 applications were filed.

In 2010 Sakpatenti granted 258 patents for inventions. The number of patents granted to local and foreign applicants is about the same.

Along with this, the number of patents registered in the name of local applicants in 2006-2010 (legal entities and natural persons) shows that the number of patents granted to legal entities reached a high level in 2006 and was 6% of the total number, whereas from 2008 it decreased from 5 to 1%.

In 2010, 5 international applications

## 2006–2010 წლებში შემოტანილი უცხოური განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

NUMBER OF FOREIGN APPLICATIONS FILED IN 2006-2010 ACCORDING TO BRANCHES

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 75 | 94 | 68 | 67 | 47 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 7 | 16 | 22 | 7 | 16 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 136 | 112 | 117 | 119 | 94 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | D (TEXTILES) |
| (მშენებლობა; სამთო საქმე) | 4 | 8 | 9 | 9 | 6 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 6 | 5 | 6 | 10 | 3 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 9 | 17 | 7 | 3 | 8 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 62 | 64 | 12 | 3 | 5 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 299 | 316 | 241 | 218 | 179 | TOTAL |




## 2006–2010 წლებში რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა

NUMBER OF PATENTS ACCORDING TO THE REGISTER OF 2006-2010

| | | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 154 | 155 | 169 | 179 | 140 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 142 | 130 | 141 | 147 | 129 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 12 | 25 | 28 | 32 | 11 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 133 | 116 | 128 | 114 | 118 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 287 | 271 | 297 | 293 | 258 | TOTAL | |



მიღებულ იქნა და საერთაშორისო ბიუროში გაიგზავნა 5 განაცხადი.

2011 წლის 1 იანვრამდე საერთაშორისო ბიუროში სულ გაიგზავნა 82 განაცხადი, საიდანაც: 26 განეკუთვნებოდა A განყოფილების დარგებს (მედიცინა და ვეტერინარია, სურსათი და საკვები პროდუქტები), მათ შორის, მედიცინას და ვეტერინარიას განეკუთვნებოდა 16 განაცხადი, 20 განაცხადი – F განყოფილებას (მექანიკა), 10 – G განყოფილებას (ფიზიკა), 8 – C განყოფილებას (ქიმია, მეტალურგია), 6 – E განყოფილებას (მშენებლობა, სამთო საქმე), 5 – H განყოფილებას (ელექტრობა), 4 – B განყოფილებას (ტექნოლოგიური პროცესები), 3 კი – D განყოფილებას (საფეიქრო ნაწარმი).

were filed with Sakpatenti as the ''receiving office''. They were sent to the International bureau and are already published in the International Bulletin.

By January 1, 2011, in total 82 applications were sent to the International Bureau, of which: 26 belonged to the branches of Section A (medicine and veterinary; food and foodstuffs), of these, 16 applications belonged to medicine and veterinary, 20 belonged to Section F (mechanical engineering); 10 – Section G (physics), 8 – Section C (chemistry, metallurgy), 6 – Section E (building; mining), 5 – Section H (electricity), 4 – Section B (technological processes), 3 – Section D (textiles).

## 2006–2010 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების სახელზე რეგისტრირებული გამოგონების პატენტების რაოდენობა

## NUMBER OF PATENTS FOR INVENTIONS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL APPLICANTS IN 2006-2010

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 4 | 8 | 7 | 2 | 1 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 138 | 122 | 134 | 145 | 128 | NATURAL PERSON |
| სულ | 142 | 130 | 141 | 147 | 129 | TOTAL |



# სასარგებლო მოდელები

# UTILITY MODELS

საქართველოში „საქართველოს საპატენტო კანონის" შესაბამისად, სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია ორი გზით:

- ეროვნული პროცედურით, რაც გულისხმობს განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენას;
- საერთაშორისო პროცედურით, რაც გულისხმობს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადის წარდგენას.

საქპატენტში სასარგებლო მოდელზე განაცხადის მიღება დაიწყო 1992 წელს. 2011 წლის პირველი იანვრისათვის სულ

In Georgia the exclusive right in a utility model may be acquired under the Patent Law of Georgia in two ways:

- Under the national procedure, which implies filing an application directly with the National Intellectual Property Center Sakpatenti; or
- Under the international procedure, which implies filing an international application with the International Bureau under the Patent Cooperation Treaty (PCT).

Sakpatenti began to receive applications for utility models in 1992. By January 1, 2011, in total 2141 applications were filed, of these, patents were granted for 1618, which is 76%.

### 2006–2010 წლებში შემოსული განაცხადების რაოდენობა
NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2006–2010

| | | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 118 | 99 | 113 | 107 | 60 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 118 | 97 | 110 | 106 | 59 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 0 | 2 | 3 | 1 | 1 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 118 | 99 | 113 | 107 | 60 | TOTAL | |



შემოვიდა 2141 განაცხადი, აქედან გაიცა 1618 პატენტი, რაც 76%-ს შეადგენს.

საქპატენტში შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობიდან 2135 განაცხადი შემოტანილია ეროვნული პროცედურით, ამათგან პატენტი გაიცა 1615-ზე.

აღსანიშნავია, რომ გამოგონებისაგან განსხვავებით, სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება პრაქტიკულად ხდება მხოლოდ ეროვნული პროცედურით და წლების მიხედვით მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 60-დან 120-ს შორის მერყეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2006-2010 წლებში საერთაშორისო პროცედურით სასარგებლო მოდელზე განაცხადი არ შემოსულა.

2010 წელს ეროვნული პროცედურით საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 60 განაცხადი, აქედან ადგილობრივი განმცხადებლის მიერ შემოტანილია 59 განაცხადი. ხოლო უცხოეთიდან, კერძოდ თურქეთიდან, შემოვიდა 1 განაცხადი (კლასი A 47 J 31/50).

2006-2010 წლებში ადგილობრივი განაცხადების დარგების საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილებების მიხედვით განაწილების ანალიზიდან ჩანს, რომ სასარგებლო მოდელზე განაცხადების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის A განყოფილების დარგებზე, როგორიცაა: მედიცინა და ვეტერინარია; სურსათი და საკვები პროდუქტები; სოფლის მეურნეობა, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 58%-ს შეადგენს. აქედან, სამედიცინო დარგს განეკუთვნება დაახლოებით 90%. სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფების წილად მოდის: F (მექანიკა) – 10%; (მშენებლობა და სამთო საქმე) – 8%; B (ტექნოლოგიური პროცესები) – 7%; G (ფიზიკა) – 5%; H (ელექტრობა) – 5%.

როგორც 2006-2010 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირების) მიერ საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა გვიჩვენებს, იუ-

Along with this, of the total number of field applications 2135 applications were filed under the national procedure, of these, patent were granted for 1615 ones.

It is noteworthy that unlike inventions, exclusive rights in utility models are acquired practically only by the national procedure and from year to year the total number of applications varies within 60 and 120. In 2006-2010 no applications were filed for utility model under International Procedure.

In 2010, 60 applications were filed for consideration with Sakpatenti under the national procedure. Out of them 59 were local applications, only 1 application was filed from abroad (Turkey) according to Class A 47 J 31/50.

As is obvious from analysis of the data of the breakdown of branches of local applications according to Sections of the International Classification in 2006-2010, the largest quantity of applications for utility models was in the branches corresponding to Section A: medicine or veterinary; food or foodstuffs; agriculture, which is about 58% of the total number. About 90% of these applications belongs to medicine. Other significant groups are: Section F (mechanical engineering) – 10%;



*EPO-ს წარმომადგენლების ვიზიტი საქპატენტში*
*Visit of EPO representatives to Sakpatenti*

## 2006–2010 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED FOR INVENTIONS
IN 2006–2010 ACCORDING TO BRANCHES

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 55 | 37 | 50 | 50 | 34 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 15 | 10 | 10 | 12 | 4 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 8 | 17 | 17 | 14 | 4 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 11 | 9 | 14 | 10 | 5 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 17 | 12 | 6 | 4 | 6 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 9 | 9 | 9 | 10 | 3 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 2 | 3 | 2 | 6 | 3 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 118 | 97 | 110 | 107 | 59 | TOTAL |




რიდიული პირების მიერ ყველაზე მეტი განაცხადი შემოტანილი იყო 2006 წელს და შეადგენდა საერთო რაოდენობის 18%-ს. შემდეგ, 2008 წლიდან კი მცირდება 12%-დან 3%-მდე.

ფიზიკური პირების მიერ წლების მიხედვით შემოტანილი განაცხადების საერთო რაოდენობა 89-დან 97-ს შორის მერყეობს და 2010 წელს 57 განაცხადს შეადგენს, რაც საერთო რაოდენობის 97%-ია.

2006-2010 წლებში ადგილობრივ განმცხადებლებზე (იურიდიული და ფიზიკური პირები) დარეგისტრირებული სასარგებლო მოდელის პატენტების რაოდენობა გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი

Section E (building and mining) – 8%; Section B (performing operations) – 7%; Section G (physics) – 5%; Section H (electricity) – 5 %.

As the number of applications for utility models filed with Sakpatenti in 2006-2010 by local applicants (legal entities and natural persons) demonstrates, the largest quantity of applications were filed by legal entities in 2006 and equaled 18% of the total amount. After 2008 their number decreased from 12% to 3%.

The total amount of applications filed by natural persons according to years varies between 89 and 97 and in 2010 is 57 applications, which is 97% of the total number.

## 2006–2010 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიერ საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

NUMBER OF APPLICATIONS FOR UTILITY MODELS FILED WITH SAKPATENTI BY LOCAL APPLICANTS (LEGAL ENTITIES AND NATURAL PERSONS) IN 2006-2010

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 21 | 8 | 13 | 12 | 2 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 97 | 89 | 97 | 94 | 57 | NATURAL PERSON |
| სულ | 118 | 97 | 110 | 106 | 59 | TOTAL |




პატენტი 2006 წელს გაცემული იყო იურიდიულ პირებზე და შეადგენდა საერთო რაოდენობის 23%-ს, ყველაზე ნაკლები კი გაცემული იყო 2007-2008 წლებში და შეადგენდა საერთო რაოდენობის მხოლოდ 4 და 5%-ს. 2008 წლიდან სასარგებლო მოდელებზე პატენტების რაოდენობა მატულობს და აღწევს 8%-ს, 2010 წელს კი ამ მაჩვენებელმა უკვე 11%-ს მიაღწია (2010 წელს ექვსივე განაცხადი შემოტანილია შპს „ავერსი-რაციონალის" მიერ).

წლების მიხედვით რეესტრში შეტანილი, ფიზიკურ პირებზე გაცემული პატენტების საერთო რაოდენობა 48-დან 97-ს შორის მერყეობს, 2010 წელს ამ მაჩვენებელმა 48 შეადგინა, რაც ამ წლის საერთო რაოდენობის 89%-ია.

2010 წელს სასარგებლო მოდელზე გაიცა 55 პატენტი.

As the number of patents for utility models registered in the name of local applicants (legal entities and natural persons) in 2006-2010 shows, the largest quantity of patents was granted in 2006 to legal entities and was 23% of the total amount, whereas the least quantity was granted in 2007-2008 and equaled 4% and 5% of the total numbers. From 2008 the number of patents for utility models increases and reaches 8%, and in 2010 this figure reached already 11% (all the six applications were filed by LLC "Aversi Rational").

The total number of patents granted to natural persons entered in the Register, varies between 48 and 97 and in 2010 is at the lowest level – 48 patents, which is 89% of the total number of this year.

In 2010, 55 patents were granted for utility models.

## 2006–2010 წლებში ადგილობრივ განმცხადებლებზე (იურიდიული და ფიზიკური პირები) დარეგისტრირებული სასარგებლო მოდელის პატენტების რაოდენობა

NUMBER OF PATENTS FOR UTILITY MODELS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL APPLICANTS (LEGAL ENTITIES AND NATURAL PERSONS) IN 2006-2010

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 21 | 4 | 5 | 11 | 6 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 72 | 76 | 67 | 97 | 48 | NATURAL PERSON |
| სულ | 93 | 80 | 72 | 108 | 54 | TOTAL |




## 2006–2010 წლებში რეესტრში შეტანილი სასარგებლო მოდელის პატენტების რაოდენობა

NUMBERS OF PATENTS FOR UTILITY MODELS ENTERED IN THE REGISTER IN 2006-2010

| | | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 93 | 81 | 75 | 110 | 55 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 93 | 80 | 72 | 108 | 54 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 0 | 1 | 2 | 2 | 1 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 94 | 81 | 74 | 110 | 55 | TOTAL | |



# დიზაინი

# DESIGN

საქართველოში დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება ორი გზით. ეს არის:

- ეროვნული პროცედურა – „დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენა;
- საერთაშორისო პროცედურა – ჰააგის შეთანხმების შესაბამისად, დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, დაცვის უფლების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელება.

2010 წლის 24 ივნისამდე, „დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, სამრეწველო ნიმუშის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა „საქართველოს საპატენტო კანონით" (1999წ.). „დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონმა დაამკვიდრა ქართული სამართლისათვის ახალი ცნება „დიზაინი", რომელმაც ჩაანაცვლა ცნება „სამრეწველო ნიმუში". ცვლილების შედეგად გაიზარდა დიზაინის სამართლით დასაცავი ობიექტების რაოდენობა, დამკვიდრდა დაცვისუნარიანობის ახალი კრიტერიუმები, ამოქმედდა უფლებების მოპოვების, განხორციელებისა და გადაცემის ახალი წესები.

ახლადმიღებული კანონი „დიზაინის შესახებ" ითვალისწინებს საქპატენტში შემოტანილი განაცხადის ექსპერტიზას, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება დიზაინის რეგისტრაციის შესახებ. თავის მხრივ, დიზაინის ექსპერტიზის პროცედურა მოიცავს განაცხა-

In Georgia it is possible to acquire the exclusive right in a design in two ways:

- By the national procedure – according to the ''Law of Georgia on Design'', an applicant may file an application directly with the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti;
- By the international procedure – under the Hague Agreement on the basis of international registration of a design an applicant may request extension of protection to the territory of Georgia.

Before July 24, 2010 when the Law of Georgia on Design came into force protection of Industrial Design was regulated according to the Patent Law of Georgia (1999). The ''Law of Georgia on Design'' approved a new term of ''Design'' in Geogian Law. It replaced the term ''Industrial Design''. The change increased a number of objects protectable under the Law on Design, new criteria of protectability were set, new rules to obtain, enforce and transfer the rights were enacted.

The newly approved Law of Georgia on Design provides for examination of the application filed with Sakpatenti, on the basis of which, Sakpatenti takes a decision concerning the registration of the design. Along with this, the examination procedure requires establishing a filing date, carrying out examination as to formal requirements and substantive

დის შეტანის თარიღის დადასტურებას, ფორმალური მოთხოვნებისა და არსობრივი ექსპერტიზის ჩატარებასა და სამრეწველო საკუთრების ბიულეტენში გამოქვეყნების სამთვიან პერიოდს.

განაცხადის ექსპერტიზისა და რეგისტრაციის პროცედურა დაახლოებით 4-დან 10 თვემდე ვადას მოიცავს. ამასთან, კანონი „დიზაინის შესახებ" საშუალებას აძლევს განმცხადებელს მოითხოვოს განაცხადის განხილვა და დიზაინის რეგისტრაცია დაჩქარებული პროცედურით, რომელიც ზემოხსენებულ ვადებს 10 სამუშაო დღემდე ან ერთ თვემდე ამცირებს.

საქპატენტმა სამრეწველო ნიმუშზე ეროვნული პროცედურით განაცხადების მიღება დაიწყო მას შემდეგ, რაც ის 1992 წელს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა. 1992 წლიდან 2011 წლის პირველ იანვრამდე საქპატენტში სამრეწველო ნიმუშის/დიზაინის რეგისტრაციაზე ეროვნული პროცედურით შემოვიდა 631 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა 449 (71%).

საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით, განაცხადების მიღება დაიწყო მას შემდეგ, რაც 2003 წელს საქართველო მიუერთდა დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ შეთანხმების ჰააგისა და ჟენევის აქტებს.

2003-2010 წლების მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებულია 1963 საერთაშორისო განაცხადი, აქედან დაცვა მიენიჭა 1912 (97%) განაცხადით წარმოდგენილ ობიექტს.

2010 წელს ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 233 განაცხადი, მათ შორის, ეროვნული პროცედურით – 47 (39 ადგილობრივი და 8 – უცხოელი განმცხადებელი), ხოლო



*კაცისა და ქალის მოძრავი ქანდაკება. ბათუმი.*
*ავტორი: თ. კვესიტაძე. დიზაინი რეგისტრირებულია საქპატენტში*
*Mobile Statue of Man and Woman. Batumi*
*Author: T. Kvesitadze. Design Registered at Sakpatenti*

examination and publication in the bulletin of industrial property for a three-month period.

The examination and filing procedure of application takes about 4 to 10 month term. Besides, the new Law on Design enables an applicant to request application processing and design registration by the accelerated procedure, which reduces the above-mentioned terms to 10 working days or one month.

Sakpatenti began to receive applications for designs (industrial designs) under the national procedure after its formation as an independent structural entity in 1992. From 1992 to January 1, 2011, in total 631 applications for industrial design registration were filed with Sakpatenti under the national procedure,

## 2006–2010 წლებში ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში შემოსული განაცხადების რაოდენობა

NUMBER OF APPLICATIONS FILED WITH SAKPATENTI IN 2006-2010 UNDER THE NATIONAL AND INTERNATIONAL PROCEDURES

| | | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | სამრეწველო ნიმუში | დიზაინი | | |
| ეროვნული პროცედურით | | 43 | 56 | 55 | 67 | 47 | | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 25 | 41 | 38 | 49 | 24 | 15 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 18 | 15 | 17 | 18 | 5 | 3 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 342 | 309 | 311 | 204 | 186 | | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 385 | 365 | 366 | 271 | 233 | | TOTAL | |




საერთაშორისო პროცედურით შემოსულია 186 განაცხადი (840 განსახილველი ობიექტი).

2006-2010 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების მიერ საქპატენტში შემოტანილი განაცხადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იურიდიული პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობა 24-53%-ის ფარგლებში მერყეობდა. შესაბამისად, ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობა იყო 47-76%. საგულისხმოა, რომ ამ მაჩვენებელმა 2010 წელს შეადგინა 82%, რაც 39%-ით მეტია 2009 წელთან შედარებით.

2006-2010 წლებში საქპატენტში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების უმრავლესობა წარმოადგენს ობიექტებს, რომლებიც განეკუთვნება მე-9 კლასს –

of which 449 were registered (71%). Sakpatenti began receiving international registrations requesting extension of protection to the territory of Georgia under the Hague Agreement in 2003. This was due to the fact that Georgia acceded to the Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs and the Geneva Act of the Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs.

According to the data of 2003-2010 1963 requests of extension of protection to Georgia were filed, of which protection was granted to 1912 designs (97%).

In 2010, 233 applications for designs

### 2006–2010 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების მიერ საქპატენტში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

### NUMBER OF APPLICATIONS FILED WITH SAKPATENTI BY LOCAL APPLICANTS IN 2006-2010

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სამრეწველო ნიმუში | დიზაინი | | |
| იურიდიული პირი | 7 | 15 | 9 | 26 | 3 | 4 | 18 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 18 | 26 | 29 | 23 | 22 | 11 | 82 | NATURAL PERSON |
| სულ: | 25 | 41 | 38 | 49 | 39 | | | TOTAL |




ტარა, საფუთავები, კონტეინერები, რომლებიც გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის. თუმცა, იყო ისეთი ობიექტებიც, როგორიცაა: ავეჯი, სატრანსპორტო და სარეკლამო საშუალებები და სხვ.

2010 წელს ეროვნული პროცედურით დარეგისტრირდა სამრეწველო ნიმუშის 39 და დიზაინის 1 განაცხადით შემოსული ობიექტები. ამათგან, ადგილობრივი მფლობელის იყო 29, უცხოელის კი – 11 განაცხადი, რაც 2009 წელთან (33 განაცხადი) შედარებით 18%-ით მეტია.

როგორც 2006-2010 წლებში ადგილობრივ მფლობელებზე რეგისტრირებული განაცხადების ანალიზი გვიჩვენებს, იურიდიულ პირებზე რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშის/დიზაინის განაცხადების რაოდენობა თითქმის გაუთანაბრდა ფიზიკურ პირებზე რეგისტრაციების რაოდენობას. ეს ფაქტი მიანიშნებს იმას, რომ მატულობს საქართ-

were filed with Sakpatenti. Of these, 47 applications are filed by the national precudure (39 from them are of local applicants and 8 are of foreigners) and 186 applications are filed by the International procedure (including 840 objects to be considered).

The dynamics of filing applications for designs with Sakpatenti under the national procedure in 2006-2010 show that applications filed by legal entities varied between 24-53 %, accordingly applications filed by natural persons were 47-76%. Noteworthy, this number in 2010 amounted 82%, which is more by 39% as compared to the number in 2009.

The majority of local applications filed with Sakpatenti falls under the objects of class 9 – Packages and Containers for the transport or Handling Goods. Although there were objects such as: furniture, transport and means of adver-

## 2006–2010 წლებში ადგილობრივი მფლობელების სახელზე რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა

NUMBER OF APPLICATIONS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL OWNERS IN 2006-2010

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 6 | 4 | 18 | 10 | 14 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 13 | 12 | 20 | 10 | 15 | NATURAL PERSON |
| სულ | 19 | 16 | 38 | 20 | 29 | TOTAL |




ველოს საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ნაირსახეობა.

2006-2010 წლებში საქპატენტის რეესტრში ადგილობრივი და უცხოელი მფლობელების სახელზე რეგისტრირებული განაცხადების დინამიკიდან ჩანს, რომ ეროვნული პროცედურით რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშების რაოდენობა 2006-2008 წლებში უწყვეტად იზრდებოდა, 2009 წელს კი წინა წელთან შედარებით 34%-ით დაიკლო, ხოლო 2010 წელს კვლავ გაიზარდა 21%-ით. რაც შეეხება საერთაშორისო პროცედურით რეგისტრირებულ დიზაინებს, 2006-2010 წლებში აღინიშნება მათი რაოდენობის კლება, რაც აიხსნება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით.

2010 წლის მონაცემებით, ეროვნული პროცედურით ადგილობრივი მფლობელების სახელზე რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშების/დიზაინების 29 განაცხადი კლასების მიხედვით ასე განაწილდა: მე-9 კლასი (ტარა, საფუთავები და კონტეინერები, რომლებიც გამოი-

tisement, etc.

In 2010, 40 applications for designs were registered according to the national procedure, of which 39 were industrial design and one design.

29 applications were filed by local applicants and 11 by foreign applicants, which is more by 18% as compared to 933 applications in 2009.

As the analysis of registrations in the name of local owners (legal entities and natural persons) in 2006-2010 show, the number of applications on industrial designs/designs registered in the name of legal entities became almost equal to the number of registrations in the name of natural persons. This fact illustrates increase in product diversification by Georgian enterprises.

It is obvious from the dynamics of the designs/industrial designs registered in the name of local and foreign owners in 2006-2010 that the number of the designs

## 2006–2010 წლებში ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით მიღებული განაცხადების რაოდენობა, რომელთაც მიენიჭათ დაცვა საქართველოში

NUMBER OF PROTECTED APPLICATIONS IN GEORGIA IN 2006-2010 FILED UNDER THE NATIONAL AND INTERNATIONAL PROCEDURE

| | | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 26 | 36 | 50 | 33 | 40 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 19 | 16 | 38 | 20 | 29 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 7 | 20 | 12 | 13 | 11 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 342 | 309 | 291 | 215 | 144 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 368 | 345 | 341 | 248 | 184 | TOTAL | |




ყენება საქონლის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის) – 10; მე-6 კლასი (ავეჯეულობა) – 6; მე-10 კლასი (საათები, საზომი, საკონტროლო და სხვა სასიგნალო ხელსაწყოები და იარაღები) – 3; მე-2 კლასი (სამოსი და გალანტერეა) – 2 და თითო განაცხადი 1-ლ, მე-3, მე-5, მე-7, მე-11, მე-13, მე-19 და 21 კლასებში.

2010 წელს ეროვნული პროცედურით უცხოელი განმცხადებლების სახელზე რეგისტრირებული 11 განაცხადი კი ქვეყნების მიხედვით ასე გადანაწილდა: შვედეთი – 4; აშშ – 3; რუსეთი – 1; თურქეთი – 1; სომხეთი – 1 და ჩინეთი – 1. საქონლის კლასების მიხედვით კი ეს სია გამოიყურება შემდეგნაირად: მე-2 კლასი (სამოსი და გალანტერეა) – 4 განაცხადი; 32-ე კლასი (გრაფიკული სიმბოლოები და ლოგოტიპები, ზედაპირის მოხატულობა, მორთულობა) – 3; ხოლო, მე-6 (ავეჯეულობა), მე-9 (ტარა, საფუთავები და კონტეინერები, რომლებიც გამოი-

registered under the national procedure increased continuously in 2006-2008, in 2009 it decreased by 34% as compared with 2008, and in 2010 increased by 21% as compared with 2009. As to the the number of designs registered under the international procedure in 2006-2010 it decreased, which presumably refers to the global crisis.

The number of the designs registered in 2010 according to the national procedure in the name of local owners according to classes is the following: Class 9 (packages and containers used for transportation and storage) – 10; Class 6 (furnishing) – 6; Class 10 (measuring instruments, checking and signalling instruments, instruments) – 3; Class 2(articles of clothing and haberdashery) – 2; Classes 1, 3, 5, 7, 11, 13, 19 and 21 – 1 application for each class.

ყენება საქონლის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის), მე-19 (საკანცელარიო და საკანტორო საკუთნო და სამარჯვები, მასალები და საკუთნო მხატვრული შემოქმედებისა და სწავლისათვის) და 23-ე კლასები (სითხეებისა და აირების მანაწილებელი, სანიტარული, გათბობის, სავენტილაციო და ჰაერის კონდიცირების მოწყობილობები, მყარი სათბობი) – თითო-თითო განაცხადი.

რაც შეეხება საერთაშორისო პროცედურით შემოსულ განაცხადებს, 2010 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის უფლება მიენიჭა 144 განაცხადს (582 ობიექტი). ამ ტიპის განაცხადებისათვის პრიორიტეტული დაცვის ობიექტები იყო: საათები და მათი საკუთნო, საიუველირო ნაწარმი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები. კერძოდ, მე-9 კლასი (ტარა) – 14 განაცხადი; მე-10 კლასი (საათები) – 59; მე-11 კლასი (სამკაულები) – 16; 32-ე კლასი (გრაფიკული სიმბოლოები) – 8; სხვა კლასებში კი – თითო განაცხადი.

საერთაშორისო პროცედურით საქართველოში დაცვა მიენიჭა განაცხადებს შემდეგი ქვეყნებიდან: შვეიცარია – 77; გერმანია – 19; საფრანგეთი – 11; თურქეთი – 7; ფინეთი – 7; ავსტრალია – 5; დიდი ბრიტანეთი – 4; იტალია – 3; ბელგია – 3; ბულგარეთი – 2 და დანარჩენი ქვეყნები – 7.

აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნებს შორის, 2010 წელსაც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ განმცხადებლები შვეიცარიიდან, შემდეგ კი – გერმანიიდან და საფრანგეთიდან.

The breakdown of the 11 applications registered in the name of foreign owners according to countries is as follows: Sweden – 4; USA – 3; Russia – 1; Turkey – 1; Armenia – 1 and China – 1. The breakdown of applications for designs according to classes is the following: Class 2 (articles of clothing and haberdashery) – 4; Class 32 (graphic symbols) – 3; Class 6 (furnishing), Class 9 (packages and containers), Class 19 (stationery and office equipment) and Class 23 (fluid distribution equipment, sanitary, heating, ventilation and air-conditioning equipment) – 1 application for each class.

144 applications were extended to the territory of Georgia with the right of protection under the international procedure (582 objects). The priority protection objects for such application were as follows: clocks and articles of adornment, means of transport and parts.

Class 9 (packages and containers) – 14; Class 10 (clocks and watches) – 59; Class 11 (articles of adornment) – 16; Class 32 (graphic symbols) – 8; 1 application for other classes. The protection under the international procedure was granted to the applications of the following countries: Switzerland – 77; Germany – 19; France – 11; Turkey – 7; Finland – 7; Australia – 5; Great Britain – 4; Italy – 3; Belgium -3; Bulgaria – 2; other countries – 7 in total.

Noteworthy, among other countries applicants from Switzerland, Germany and France remain especially active.

# სასაქონლო ნიშნები

## TRADEMARKS

საქართველოში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება ორი გზით:

- „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენით (ეროვნული პროცედურა);
- ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის შეთანხმების ოქმის თანახმად, სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე (საერთაშორისო პროცედურა).

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ეროვნული პროცედურით განაცხადების მიღება საქპატენტმა დაიწყო 1992 წლიდან. 2011 წლის პირველი იანვრისათვის საქპატენტში ეროვნული პროცედურით სულ შემოვიდა 26410 განაცხადი, საიდანაც დარეგისტრირდა 21314. ვინაიდან ზოგიერთმა მფლობელმა არ ისურვა საკუთარი ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელება, რაც საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია ყოველ 10 წელიწადში, საანგარიშო პერიოდისათვის ძალაში იყო 15261 ნიშანი.

ეროვნული პროცედურისაგან განსხვავებით, საქართველოზე საერთაშორისო ნიშნების გავრცელების შესახებ მადრიდის ოქმის საფუძველზე შეტყობინებების მიღება დაიწყო მას შემდეგ, რაც 1998 წლის 20 აგვისტოს საქართველო მიუერთდა მადრიდის ოქმს. 1998-2010 წლების მონაცემებით ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის

There are two ways of acquiring an exclusive right in trademarks in Georgia:

- Under the Law of Georgia on Trademarks, by filing an application directly with the National Intellectual Property Center Sakpatenti (national procedure);
- By a request to extend the protection obtained on the basis of the international registration under the Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks of a trademark to Georgia (international procedure).




*სემინარი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის*
*Seminar for bussines representatives*
*ფოტოზე: საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ქურდიანი*
*On the photo: Mr. George Kurdiani - Head, Department of Trademarks and Geographical Indications*

Filing applications with Sakpatenti under the national procedure began in 1992. By January 2011, in total 26410 applications for trademark registration under the national procedure were filed with Sakpatenti. Of these 21,314 were registered. As some owners did not wish to extend the term

## საერთაშორისო და ეროვნული პროცედურით საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა დარჩენილი მოქმედების ვადის მიხედვით

NUMBER OF MARKS PROTECTED IN GEORGIA UNDER THE INTERNATIONAL AND NATIONAL PROCEDURES ACCORDING TO THE REMAINING TERM OF VALIDITY

| მოქმედების დარჩენილი ვადა (წლებში) | საერთაშორისო INTERNATIONAL | ეროვნული NATIONAL | REMAINING TERM OF VALIDITY (YEARS) |
|---|---|---|---|
| 0 (მოქმედების ბოლო ვადა 2010 წელი) | 440 | 87 | 0 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2010) |
| 1 (მოქმედების ბოლო ვადა 2011 წელი) | 2,325 | 388 | 1 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2011) |
| 2 (მოქმედების ბოლო ვადა 2012 წელი) | 2,163 | 615 | 2 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2012) |
| 3 (მოქმედების ბოლო ვადა 2013 წელი) | 2,432 | 533 | 3 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2013) |
| 4 (მოქმედების ბოლო ვადა 2014 წელი) | 2,808 | 682 | 4 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2014) |
| 5 (მოქმედების ბოლო ვადა 2015 წელი) | 2,790 | 1,123 | 5 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2015) |
| 6 (მოქმედების ბოლო ვადა 2016 წელი) | 3,038 | 2,520 | 6 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2016) |
| 7 (მოქმედების ბოლო ვადა 2017 წელი) | 3,599 | 3,107 | 7 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2017) |
| 8 (მოქმედების ბოლო ვადა 2018 წელი) | 3,685 | 2,849 | 8 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2018) |
| 9 (მოქმედების ბოლო ვადა 2019 წელი) | 3,299 | 2,000 | 9 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2019) |
| 10 (მოქმედების ბოლო ვადა 2020 წელი) | 1,448 | 1,188 | 10 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2020) |
| 11 (მოქმედების ბოლო ვადა 2021 წელი) | 158 | 154 | 11 (TERM OF VALIDITY EXPIRES IN 2021) |
| სულ | 28,185 | 15,261 | TOTAL |




ოქმით, საქართველოზე გავრცელდა 33708 ნიშანი, რომელთაგან დაცვა მიენიჭა 28666 ნიშანს. 2011 წლის პირველი იანვრისათვის მადრიდის ოქმით ძალაში იყო 28185 ნიშანი, რადგან მადრიდის ოქმის შესაბამისად, საქართველოზე გავრცელებული მხოლოდ 481 (ნიშნების 2%) საერთაშორისო ნიშნის მფლობელმა არ მოისურვა მომდევნო ათი წლით დაცვის გაგრძელება.

2011 წლის პირველი იანვრისათვის ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით დაცული ძალაში მყოფი ნიშნების საერთო რაოდენობამ შეადგინა 43446.

of validity of their trademarks, which is possible under the legislation of Georgia every 10 years, by the reporting date 15261 trademarks were valid.

Unlike the national procedure, Sakpatenti began to receive notifications on extension of international marks to Georgia under the Madrid Protocol in 1998, after the accession of Georgia to the Madrid Protocol on August 20, 1998. According to 1998-2010 data, under the Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks,

2010 წელს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 4251 სასაქონლო ნიშანი, აქედან საერთაშორისო პროცედურით შემოვიდა 2940, ხოლო ეროვნული პროცედურით – 1311 ნიშანი, რაც 7,5%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით.

2006-2010 წლებში საქპატენტში განაცხადების შემოტანის დინამიკიდან ჩანს, რომ საერთაშორისო და ეროვნული პროცედურებით საქპატენტში შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობა 2008 წლის ჩათვლით უწყვეტად იზრდებოდა. განსხვავებული სიტუაციაა 2009 წლიდან. ამ პერიოდიდან შეიმჩნევა ყველა სახის განაცხადის დაახლოებით ერთნაირი –18%-ით შემცირება.

განაცხადების კლების ტენდენცია აღინიშნება 2010 წელსაც, თუმცა ეს ციფრი გაცილებით დაბალია და შეადგენს 4.5%-ს. მიუხედავად ადგილობრივი განაცხადების რაოდენობის ზრდისა, შემო-




*შეხვედრა საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში*
*Meeting at the Business Association of Georgia*

*ფოტოზე მარცხნიდან: კომპანია „თბილღვინოს“ დირექტორი გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი ჭირაქაძე, საქპატენტის თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე, კომპანია „ალტას“ გენერალური დირექტორი ირაკლი კაკაბაძე*
*On the photo from left: Mr. Giorgi Margvelashvili - Director of company "Tbilvino", Mr. Bakur Kvezereli - Minister of Agriculture, Mr. Giorgi Tchirakadze - President of Business Association of Georgia, Mr. Irakli Ghvaladze - Chairman of Sakpatenti, Mr. Irakli Kakabadze - Director General of "Alta"*

33,708 trademarks were extended to Georgia, of which protection was granted to 28,666 marks. By January 1, 2011, 28185 trademarks were valid under the Madrid Protocol, as owners of only 481 international marks extended to Georgia (2% of marks) did not wish to extend the term of validity for subsequent ten years.

By January 1, 2011, the total number of valid marks protected under the national as well as the international procedure was 43446.

In 2010 4251 trademarks in total were filed with Sakpatenti for consideration both under the national and international procedures. Of these 2940 trademarks were filed under the international procedure and 1311 trademarks were filed under the national procedure, which is by 7.54% more than the previous year.

The dynamics of filing applications with Sakpatenti in 2006-2010 shows that the total number of applications filed with Sakpatenti under the international and national procedures increased continuously till 2008. The situation changed in 2009. From this period the number of applications of all kinds decreased by almost the same, quite considerable percentage (18%).

The tendency towards the decrease of the number of applications was observable in 2010 too. However, this figure is much lower and equals 4.5%. In spite of the increase of the number of local applications, the decrease of the total number of filed applications is caused by the decrease of the number of international marks extended to Georgia under the Madrid Protocol. In particular, in 2010 the number of international registrations extended to Georgia under the international procedure decreased by 8.5% (in 2009 this index was 18%), whereas the number of applications filed

### 2006–2010 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა

### NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED IN 2006–2010

| | | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 1110 | 1158 | 1459 | 1220 | 1311 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 401 | 553 | 759 | 623 | 647 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 709 | 605 | 700 | 597 | 664 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 3362 | 3786 | 3951 | 3212 | 2940 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 4472 | 4944 | 5410 | 4432 | 4251 | TOTAL | |




სული განაცხადების საერთო რაოდენობის შემცირება გამოწვეულია მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული საერთაშორისო ნიშნების შემცირებით. კერძოდ, 2010 წელს საქართველოზე საერთაშორისო პროცედურით გავრცელებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა შემცირდა 8.5%-ით, ეროვნული პროცედურით ადგილობრივი და უცხოელი განმცხადებლების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობა კი გაიზარდა 7%-ით. ამასთანავე, ეროვნული პროცედურით შემოსული უცხოური განაცხადების ზრდა (12%) სამჯერ აჭარბებს ამავე პროცედურით შემოსული ადგილობრივი განაცხადების ზრდას (4%).

მადრიდის ოქმით მიღებული შეტყობინებებისა და საქპატენტში სასაქონლო ნიშნების დაცვის მოთხოვნით მიღებული განაცხადების ქვეყნების მიხედვით განაწილების დინამიკის საილუსტრაციოდ

under the national procedure by local as well as foreign applicants increased by 7%. At the same time, the increase of the foreign applications filed under the national procedure (12%) exceeds in three times the increase of the local applications filed under the same procedure (4%).

In order to illustrate the dynamics of breakdown according to countries of notifications under the Madrid Protocol and applications received by Sakpatenti with the request for the protection of trademarks, the data of the countries were selected according to the trademark applications the average number of which was no less than 4% of the total number in 2006-2010. The data show that during the period under review, German applicants were again the most active. At the same

შეირჩა ის ქვეყნები, საიდანაც 2006-2010 წლებში შემოსული სასაქონლო ნიშნების საშუალო რაოდენობა საერთო რაოდენობის 4%-ზე ნაკლები არ იყო. მონაცემებიდან ჩანს, რომ განსახილველ პერიოდში ყველაზე მეტი აქტიურობით კვლავ გამოირჩეოდნენ განმცხადებლები გერმანიიდან. ამასთან, თუ 2007 წლამდე მათი აქტიურობა მონოტონურად მატულობდა, 2008-2010 წლებში შეიმჩნევა აქტიურობის საგრძნობი დაქვეითება. შემცირდა, აგრეთვე, ეროვნული პროცედურით მიღებული განაცხადებისა და საქართველოზე გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა შვეიცარია, რუსეთი, იტალია და საფრანგეთი. თუმცა საანგარიშო პერიოდში კლების მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე 2009 წელს. 2009 წელთან შედარებით, 2010 წელს იმატა საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელების შესახებ შეტყობინებებმა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა აშშ (21%), თურქეთი (25%) და ჩინეთი (8%).

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს 4%-ით (24 განაცხადი) გაიზარდა ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა (647). თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი წლით ადრე ადგილი ჰქონდა მათ კლებას, 2010 წლის ტენდენცია მიუთითებს საქპატენტისა და ქართული ბიზნესის გააქტიურებაზე.

ქვეყნების მიხედვით შემოტანილი განაცხადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2010 წლის მონაცემებით, ადგილობრივი განმცხადებლების შემდეგ ყველაზე დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ განმცხადებლები გერმანიიდან (396 ნიშანი), შემდეგ – აშშ-დან (375 ნიშანი), შვეიცარიიდან (372 ნიშანი) და რუსეთიდან (245 ნიშანი).

ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში შემოსული განაცხადების, საქონლისა და მომსახურების ნიცის საერთაშორისო

time, before 2007 their activity increased monotonously, whereas in 2008-2010 considerable decrease of their activity was observable. The number of applications filed under the national procedure and international registrations requesting extension to Georgia also decreased from such countries as Switzerland, Russia, Italy and France. However, the index of decrease in the reporting period is lower as compared with 2009. Unlike 2009, in 2010 the number of notifications on extension of international registrations to Georgia under the Madrid Protocol increased from such countries as the USA (21%), Turkey (25%) and China (8%).

Noteworthy, in 2010 the number of local applications (647) increased by 4% (24 applications). Bearing in mind their decrease in the previous year, the tendency of 2010 indicates the intensification of the activity of Sakpatenti and Georgian business.

The analysis of applications filed according to countries shows that in 2010, after local applicants, applicants from Germany are the most active (396 marks). They are applicants from the USA (375 marks), Switzerland (372 marks) and Rus-



*შეხვედრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ალექსანდრე კვიტაშვილთან*
*Meeting with Mr. Alexander Kvitashvili, Minister of Labor, Healthcare and Social Affairs*

## 2006-2010 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED IN 2006–2010 ACCORDING TO COUNTRIES

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 401 | 553 | 759 | 624 | 647 | GE (GEORGIA) |
| გერმანია | 601 | 674 | 631 | 514 | 396 | DE (GERMANY) |
| აშშ | 452 | 332 | 492 | 309 | 375 | US (USA) |
| შვეიცარია | 313 | 330 | 376 | 404 | 372 | CH (SWITZERLAND) |
| რუსეთი | 285 | 311 | 357 | 283 | 245 | RU (RUSSIA) |
| იტალია | 280 | 270 | 278 | 221 | 215 | IT (ITALY) |
| საფრანგეთი | 225 | 301 | 256 | 251 | 221 | FR (FRANCE) |
| თურქეთი | 235 | 174 | 220 | 185 | 231 | TR (TURKEY) |
| ჩინეთი | 197 | 174 | 223 | 142 | 196 | CN (CHINA) |
| სხვა | 1,483 | 1,825 | 1,784 | 1,499 | 1,353 | OTHER |
| განაცხადების საერთო რაოდენობა | 4,472 | 4,944 | 5,410 | 4,432 | 4,251 | TOTAL NUMBER OF APPLICATIONS |




კლასიფიკაციის კლასების მიხედვით, განაწილების დინამიკის საილუსტრაციოდ შეირჩა ის კლასები, რომლებზეც დაცვის გავრცელების მოთხოვნით 2006-2010 წლებში შემოსული სასაქონლო ნიშნების საშუალო რაოდენობა საერთო რაოდენობის 9%-ზე ნაკლები არ იყო.

გრაფიკებიდან ჩანს, რომ განსახილველი პერიოდისათვის განმცხადებელთა უმრავლესობის ყველაზე დიდი ინტერესის ობიექტს კვლავ წარმოადგენს ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის საქონელი (ფარმაცევტული,

sia (245 marks).

To illustrate the dynamics of breakdown of applications filed with Sakpatenti with the request for protection of trademarks and notifications of the International Bureau according to classes of the International Nice Classification of Goods and Services, those classes were selected the number of trademarks requesting protection to which, averaged for 2006-2010, was no less than 9% of the total amount.

It is evident from the diagrams that

## 2006–2010 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა საქონლის და/ან მომსახურების ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის კლასების მიხედვით

NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED BY SAKPATENTI IN 2006-2010 ACCORDING TO CLASSES OF THE NICE CLASSIFICATION OF GOODS AND/OR SERVICES

| კლასი CLASS | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1,173 | 1,515 | 1,522 | 1,464 | 1,240 |
| 35 | 562 | 629 | 826 | 614 | 531 |
| 9 | 628 | 651 | 737 | 499 | 445 |
| 3 | 493 | 553 | 616 | 490 | 415 |
| 30 | 386 | 490 | 537 | 446 | 454 |
| 25 | 470 | 494 | 600 | 377 | 364 |
| 16 | 405 | 456 | 467 | 330 | 291 |
| 42 | 360 | 345 | 409 | 282 | 236 |
| 41 | 348 | 374 | 409 | 293 | 203 |
| 29 | 321 | 256 | 333 | 303 | 281 |
| 32 | 297 | 297 | 336 | 260 | 261 |
| 33 | 324 | 332 | 310 | 226 | 233 |
| მიღებული განაცხადების საერთო რაოდენობა * TOTAL NUMBER OF FILED APPLICATIONS * | 4,472 | 4,944 | 5,410 | 4,432 | 4,251 |




ვეტერინარული და ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ.). დაინტერესება აღინიშნება მე-9 (ელექტრული ხელსაწყოები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.), 35-ე (რეკლამა; ბიზნესის მართვა), მე-3 (პარფიუმერია, კოსმეტიკა, სარეცხი საშუალებები), 25-ე (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი) და 30-ე (ყავა, ჩაი, კაკაო და ა.შ.) კლასების საქონლის მიმართაც.

the goods belonging to Class 5 of the International Nice Classification (pharmaceutical, veterinary and sanitary preparations, etc.) were of special interest to the majority of applicants. The interest was also observable in the goods belonging to Class 9 (electrical apparatus, software, etc.), Class 35 (advertising, business man-

* მიღებული განაცხადების რაოდენობა არ არის კლასების მიხედვით რაოდენობათა ჯამი, ვინაიდან ერთი განაცხადი შესაძლოა რამდენიმე კლასისთვის იყოს შემოტანილი.
Received number of applications is not the sum total of amounts according to classes, as one application may be filed for several classes

გამოვლენილი დაინტერესების შესაბამისად, საქონლისა და მომსახურების კლასები ასე განაწილდა: მე-5 (1240 ნიშანი – 29%), 35-ე (531 ნიშანი – 13%), მე-9 (445 ნიშანი – 11%), 30-ე (454 ნიშანი – 11%), მე-3 (415 ნიშანი – 10%) და ა.შ. მოცემული თანამიმდევრობა განსახილველ პერიოდში პრაქტიკულად არ იცვლება, თუ არ ჩავთვლით ჩამოთვლილ კლასებს შორის უმნიშვნელო გადაადგილებებს.

ადგილობრივი განაცხადების ანალოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ უცხოელთა მსგავსად, 2006-2010 წლებში ქართველ მეწარმეთა ინტერესის ობიექტი კვლავ მე-5 კლასის საქონელია (ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ.). ყველა სხვა კლასის საქონლის მიმართ კი დაინტერესების დონე იცვლება წლების მიხედვით. ასე მაგალითად, 2006-2007 წლებში გამოკვეთილად ჩანს ქართველ მეწარმეთა დაინტერესება საქართველოსთვის ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტების მიმართ, როგორიცაა ღვინო და სპირტიანი სასმელები (33-ე კლასი). ამ წლებში კვლავ დიდია ინტერესი მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების მიმართაც (32 კლასი). მომდევნო წლებში კი სულ უფრო მატულობს დაინტერესება ისეთი საქონლისა და მომსახურების მიმართ, როგორიცაა სარეკლამო და ბიზნესის მართვის მომსახურება (35-ე კლასი). შედეგად, 2007-2010 წლებში გამოვლენილი ინტერესის მიხედვით ეს კლასი მეორე ადგილზეა. დაახლოებით ერთნაირი დაინტერესების საგანია ისეთი პროდუქტები და მომსახურება, როგორიცაა: ყავა, ჩაი, კაკაო, ფქვილი და მარცვლოვანი პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი (30-ე კლასი) და საკვები პროდუქტებითა და დროებითი საცხოვრებლებით უზრუნველყოფის მომსახურება (43-ე კლასი). გარდა ამისა, გარკვეული ინტერესი შენარჩუნებულია 29-ე კლასის საქონლის მიმართაც.

agement), Class 3 (perfumery, cosmetics, substances for laundry use), Class 25 (clothing, footwear, headgear) and Class 30 (coffee, tea, cocoa, etc.).

According to the shown interest, classes of goods and services were as follows: Class 5 (1240 marks – 29%), Class 35 (531 marks – 13%), Class 9 (445 marks – 11%), Class 30 (454 marks – 11 %), Class 3 (415 marks – 10%), etc. The given sequence in the reporting period practically does not change, except for slight shifting).

Similar analysis of local applications demonstrates that, similar to foreign applicants, in 2006-2010 Georgian entrepreneurs show interest preferably in goods belonging to Class 5 (pharmaceutical, veterinary and sanitary preparations, etc.). The interest in goods belonging to other classes varies from year to year. Thus, in 2006-2007 the pronounced interest of Georgian entrepreneurs in strategically important products for Georgia, such as wines and spirits (Class 33) is noticeable. In these years interest is again great in mineral waters and beverages (Class 32). In subsequent years, interest increases in goods and services, such as advertising and business management (Class 35). As a result, this class is on the second position according to the interest shown in it in 2007-2010. Goods and services, such as coffee, tea, cocoa and cereals prepared for human consumption, pastry and confectionery (Class 30) and services for providing food and drink and temporary accommodation (Class 43) are object of almost similar interest. Along with this, certain interest also remains in goods belonging to Class 29.

## 2006–2010 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით

## NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2006–2010 ACCORDING TO CLASSES

| კლასი CLASS | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | 116 | 155 | 306 | 234 | 162 |
| 35 | 71 | 110 | 178 | 108 | 149 |
| 33 | 74 | 106 | 71 | 57 | 79 |
| 30 | 49 | 78 | 68 | 78 | 91 |
| 43 | 41 | 76 | 89 | 62 | 40 |
| 32 | 63 | 60 | 57 | 59 | 50 |
| 36 | 31 | 50 | 104 | 35 | 63 |
| 29 | 61 | 48 | 52 | 58 | 63 |
| 16 | 26 | 52 | 70 | 60 | 71 |
| 41 | 40 | 55 | 70 | 47 | 44 |
| 37 | 32 | 52 | 94 | 23 | 16 |
| 3 | 20 | 28 | 93 | 34 | 33 |
| 25 | 24 | 44 | 42 | 34 | 51 |
| სულ TOTAL | 401 | 553 | 759 | 623 | 647 |




საქონლისა და მომსახურების მიმართ ადგილობრივ განმცხადებელთა მხრიდან გამოვლენილი დაინტერესების დონის მიხედვით 2010 წელს კვლავ პირველ და მეორე ადგილზეა მე-5 (162 განაცხადი – 25%) და 35-ე (149 განაცხადი – 23%) კლასები. დანარჩენი კლასები კი ასეთი რიგითობით განლაგდა: 30-ე (91 განაცხადი – 14%), 33-ე (79 განაცხადი – 12%), მე-16 (71 განაცხადი – 11%), 29-ე (63 განაცხადი – 10%), 36-ე (63 განაცხადი – 10%), 32-ე (50 განაცხადი – 8%) და ა.შ.

2010 წელს საქპატენტში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ქა-

According to the interest in goods and services shown by local applicants, in 2010 Class 5 (162 applications – 25%) and Class 35 (149 applications – 23%) remained on the first and the second positions. The interest in other classes was as follows: Class 30 (91 applications – 14%), Class 33 (79 applications – 12%), Class 16 (71 applications –11%), Class 16 (60 applications – 9.6 %), Class 29 (63 applications – 10 %), Class 36 (63 applications – 10%), Class 32 (50 applications – 8%), etc.

According to the analysis of local ap-

## 2010 წელს შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით

NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2010 ACCORDING TO REGIONS OF GEORGIA

| რეგიონი | განაცხადების რაოდენობა NUMBER OF APPLICATIONS | REGION |
|---|---|---|
| თბილისი | 552 | TBILISI |
| ბათუმი | 17 | BATUMI |
| ქუთაისი | 15 | KUTAISI |
| თელავი | 13 | TELAVI |
| ზუგდიდი | 10 | ZUGDIDI |
| მცხეთა | 7 | MTSKHETA |
| სოხუმი | 4 | SOKHUMI |
| მარნეული | 4 | MARNEULI |




ლაქებიდან ტრადიციულად ლიდერობს თბილისი (552 განაცხადი). ამის მიზეზია ის, რომ ქართული ბიზნესის დიდი ნაწილი განთავსებულია დედაქალაქში და თბილისელ ბიზნესმენებს კარგად აქვთ გაცნობიერებული სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვების აუცილებლობა. ქალაქების მიხედვით მომდევნო ხუთი ადგილი ასე განაწილდა: ბათუმი (17), ქუთაისი (15), თელავი (13), ზუგდიდი (10) და მცხეთა (7).

წარმოდგენილი მონაცემები ასახავს სხვადასხვა მახასიათებლის დინამიკას იმ სასაქონლო ნიშნებისათვის, რომელთაც საქართველოში მიენიჭათ დაცვა 2006-2010 წლებში. საქპატენტში ნიშნების შეტანისათვის უკვე დადგენილი თავისებურებები დაცვის მინიჭების ამსახველ გრაფიკებში განაცხადის შეტანიდან დაახლოებით 1-1,5 წლიანი დაგვიანებით

plications filed with Sakpatenti in 2010, in the list of the cities of Georgia, Tbilisi is traditionally in the lead (552 applications). This is due to the fact that a great part of Georgian business is located in the capital. Tbilisi businessmen are well aware of the necessity of acquisition of exclusive rights in such object of industrial property as trademark, etc. The following five positions are as follows: Batumi (17), Kutaisi (15), Telavi (13), Zugdidi (10) and Mtskheta (7).

The report includes the data reflecting the dynamics of various characteristics for trademarks to which protection was granted in Georgia in 2006-2010. The features already established for the filing of trademarks with Sakpatenti are reflected in the diagrams showing granting of pro-

ვლინდება, ანუ ინაცვლებს დროის იმ შუალედით, რომელიც საქპატენტში დაცვის მოთხოვნით შეტანილი სასაქონლო ნიშნის დაცვის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისა და რეგისტრაციის პროცედურებისთვისაა საჭირო. ეს პროცედურები მოიცავს ფორმალურ ექსპერტიზას, არსობრივ ექსპერტიზასა და სამრეწველო საკუთრების ბიულეტენში გამოქვეყნების (ოპოზიციისათვის) სამთვიან პერიოდს. 2010 წლის 12 ივლისიდან საქართველოს კანონში სასაქონლო ნიშნების შესახებ შეტანილი ცვლილება საშუალებას აძლევს განმცხადებელს მოითხოვოს განაცხადის განხილვა და ნიშნის რეგისტრაცია დაჩქარებული პროცედურით, რომელიც ამცირებს ზემოხსენებულ ვადებს 10 სამუშაო დღემდე (კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, მ. 151). აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლიდან 2010 წლის ბოლომდე დაჩქარებული პროცედურით შემოვიდა 76 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა 61 ნიშანი, 7 ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ხოლო 8 განაცხადზე შეწყდა საქმის წარმოება საფასურის გადაუხდელობის გამო.

2010 წლის მონაცემებით სასაქონლო ნიშნების რეესტრში დარეგისტრირდა 858 სასაქონლო ნიშანი, აქედან 383 ადგილობრივი, ხოლო 475 უცხოელი მფლობელის სახელზე. საერთაშორისო პროცედურით დაცვა მიენიჭა საქართველოზე გავრცელებულ 3416 ნიშანს.

2010 წელს რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით ასე გადანაწილდა: გერმანია – 560 (13%), შვეიცარია – 386 (9%), აშშ – 324 (8%), რუსეთი – 276 (6%), საფრანგეთი 258 (6%) და იტალია 244 (6%).

რაც შეეხება რეესტრში შეტანილი ადგილობრივი ნიშნების რაოდენობას, ის ქალაქების მიხედვით ასე განაწილდა:

tection about 1-1.5 year later, i.e. they are moved by the period of time which is required to take the final decision on granting of protection to a trademark filed with Sakpatenti with the request for protection and registration procedures. These procedures include examination as to form, substantive examination and three-month opposition period for publication in the bulletin of industrial property. The amendment to the Law of Georgia on Trademarks, in force from July 12, 2010, allows an applicant to request application processing and trademark registration by the accelerated procedure, which reduces the above-mentioned terms to 10 working days (Article 151 of the Law on Trademarks). From the date of the amendments to the Law to the end of 2010, 76 applications were filed under the accelerated procedure. Of these 61 marks were registered, 7 marks were refused registration and proceedings were terminated due to non-payment for 8 applications.

According to the data of 2010, 858 trademarks were recorded in the Register of Trademarks, of these 383 in the name of local and 475 – of foreign owners. 3416 trademarks, extended to Georgia, were granted protection under the international procedure.

The number of trademarks entered in the Register and protected in Georgia on the basis of international registration in 2009, according to countries is the following: Germany – 560 trademarks (13%), Switzerland – 386 (9%), USA – 324 (8%), Russia – 276 (6%), France – 258 (6%), Italy – 244 (6%).

As to the number of local marks entered in the Register is as follows: Tbilisi – 349 trademarks (89%), settlement Akhal-

## 2006–2010 რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა

NUMBER OF TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER AND PROTECTED IN GEORGIA ON THE BASIS OF INTERNATIONAL REGISTRATION IN 2006-2010

| | | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურა | | 796 | 941 | 974 | 1107 | 858 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 324 | 300 | 358 | 409 | 383 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 472 | 641 | 516 | 698 | 475 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურა | | 2428 | 3178 | 3537 | 4088 | 3416 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 3224 | 4118 | 4411 | 5195 | 4274 | TOTAL | |




## რეესტრში შეტანილი ადგილობრივი ნიშნების რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით

NUMBER OF LOCAL TRADEMARKS ENTERED IN REGISTER ACCORDING TO REGIONS OF GEORGIA

| რეგიონი | ნიშნების რაოდენობა NUMBER OF TRADEMARKS | REGION |
|---|---|---|
| თბილისი | 349 | TBILISI |
| ახალგორი | 7 | AKHALGORI |
| ბათუმი | 5 | BATUMI |
| ხელვაჩაური | 5 | KHELVACHAURI |
| ქუთაისი | 4 | KUTAISI |
| სოხუმი | 3 | SOKHUMI |

თბილისი – 349 ნიშანი (89%), დაბა ახალ-გორი – 7 ნიშანი (1,8%), ბათუმი – 5 ნიშანი (1,3%), ხელვაჩაური – 5 ნიშანი (1,3%).

2000 წელს ეროვნული პროცედურით რეგისტრაციაში გატარდა 606 სასაქონლო ნიშანი, რომელთაც 2010 წელს უწევდათ რეგისტრაციის ვადის გაგრძელება შემდ-გომი 10 წლით. რეალურად მოქმედების ვადა გაუგრძელდა მხოლოდ 420 ნიშანს, ანუ მოქმედება შეუწყდა 2000 წელს რეგის-ტრირებული ნიშნების 30%-ს.

2010 წელს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართ-ველოდან საერთაშორისო ბიუროში გაიგ-ზავნა შემდეგი იურიდიული და ფიზიკური პირების 9 განაცხადი. ესენია: სს „თელავის ღვინის მარანი", შპს „ავერსი-ფარმა", სს „ლომისი", შპს „ტრიადა ჯგუფი", ზაქრაძე თეონა, შპს „ვაინმენი", შპს „ასადოვ ფრუტი" და შპს „მიტროფანე ლაღიძე". სულ 2011 წლის პირველ იანვრამდე საქართველო-

gori – 7 marks (1.8%), Batumi – 5 marks (1.3%), Khelvachauri – 5 marks (1.3%).

In 2000, 606 trademarks were registered under the national procedure. In 2010 it was necessary to extend the term of validity of these trademarks registration by a consecutive period of 10 years. In reality, the term of validity of only 420 trademarks were extended, i.e. about 30% of trademarks registered in 2000 were invalidated.

In 2010, 9 applications were sent from Georgia to the International Bureau under the Madrid Protocol. The applications belong to the following legal entities and physical persons: JSC ''Telavi Wine Cellar'', ''Aversi-Farm'' LTD, JSC ''Lomisi'', TRIADA GROUP LTD, Zakradze Teona, LLC ''Wineman LLC'', LLC ''Asadov fruit'',

## რეგისტრირებული და დღემდე ძალაში მყოფი ნიშნების რაოდენობა წლების მიხედვით (ეროვნული პროცედურა)

NUMBER OF MARKS REGISTERED AND VALID ACCORDING TO YEARS (NATIONAL PROCEDURE)

| რეგისტრაციის წელი YEAR OF REGISTRATION | რეგისტრირებული REGISTERED | ძალაში მყოფი VALID |
|---|---|---|
| 1993 | 32 | 1 |
| 1994 | 416 | 268 |
| 1995 | 870 | 520 |
| 1996 | 2,981 | 1,730 |
| 1997 | 3,714 | 2,171 |
| 1998 | 3,361 | 1,983 |
| 1999 | 1,710 | 899 |
| 2000 | 606 | 420 |



დან საერთაშორისო ბიუროში გაიგზავნა 86 განაცხადი, რომელთაგან 85 დარეგისტრირდა საერთაშორისო რეესტრში. ამასთანავე, გაუქმდა სასაქონლო ნიშნის – „წარაფი" საერთაშორისო რეგისტრაცია ყველა მინიშნებულ ქვეყანაში, რადგან მას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე წარმოშობის ქვეყანაში – საქართველოში. საინტერესოა, რომ თუ 2000-2006 წლების მონაცემებით ქართველ განმცხადებელთა უმრავლესობა ღვინისა და სპირტიანი სასმელების მწარმოებელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, 2007 წელს საერთაშორისო ბიუროში გაგზავნილი ცხრამეტივე ნიშანი ფარმაკოლოგიური პროდუქციისათვის იყო გათვალისწინებული. 2008-2010 წლებში კი ქართველ მეწარმეთა ინტერესი სხვა კლასების საქონელზეც გავრცელდა. კერძოდ, 2010 წელს საერთაშორისო რეგისტრაციაზე გაგზავნილი 9 განაცხადიდან ორი განკუთვნილი იყო მხოლოდ მე-5 კლასის საქონლისათვის, ორი – 32-ე კლასის საქონლისათვის, ოთხი – 33-ე კლასის საქონლისათვის, ხოლო ერთი – 29-ე, 31-ე, 35-ე და 43-ე კლასების საქონლისათვის.

"Mitrophane Laghidze" LTD. By January 1, 2011, in total 86 applications were sent to the International Bureau from Georgia, of these 85 were registered in the International Register. The international registration of one mark "Tsarapi" was cancelled in all designated countries, as this mark was refused registration in the country of origin – Georgia. It is interesting that according to 2000-2006 data, the majority of Georgian entrepreneurs belonged to the producers of wine and spirits, whereas all the 19 trademarks sent to the International Bureau in 2007 were for pharmacological products. In 2008-2010 Georgian entrepreneurs displayed interest in goods of other classes as well. Namely, of the 9 applications sent in 2010 for international registration, 2 applications were for goods of Class 5, 2 applications for goods of Class 32, 4 – for goods of Class 33, and 1 for goods of Classes 29, 31, 35 and 43.

## საქართველოზე გავრცელებული და ძალაში მყოფი საერთაშორისო ნიშნების რაოდენობა

NUMBER OF VALID INTERNATIONAL MARKS EXTENDED TO GEORGIA

| საქართველოზე გავრცელების წელი<br>YEAR OF EXTENSION TO GEORGIA | გავრცელებული<br>EXTENDED | ძალაში მყოფი<br>VALID |
|---|---|---|
| 1998 | 512 | 271 |
| 1999 | 1,861 | 1,011 |
| 2000 | 2,450 | 1,553 |
| 2001 | 2,470 | 2,328 |



# საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები

# APPELLATIONS OF ORIGIN OF GOODS

საქართველოს კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ” მიუთითებს, რომ ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საფუძველს წარმოადგენს მათი რეგისტრაცია საქპატენტში ან სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება. ეს კანონი რეალურად 2005 წელს ამოქმედდა. ამასთან, მისი გამოყენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ღვინის, სპირტიანი სასმელებისა და მინერალური წყლებისათვის, ვინაიდან სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ 2003 წელს მიღებული და ამ პერიოდისათვის ძალაში მყოფი კანონქვემდებარე აქტები ითვალისწინებდა მხოლოდ ღვინის, ღვინის ბრენდისა და მინერალური წყლის მახასიათებლების გეოგრაფიულ ადგილთან კავშირის შესწავლასა და დადგენას, გეოგრაფიული ადგილის საზღვრების დაზუსტებას, შესაბამისი ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციასა და მათ გამოყენებაზე კონტროლს.

ქვემოთ მოყვანილ საქართველოს რუკაზე მითითებულია დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებების შესაბამისი მიკროზონები.

„ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ” ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე 2010 წელს დაცვა მიენიჭა 6



*მემორანდუმის გაფორმება საქპატენტსა და საქართველოს ღვინის ასოციაციას შორის*

*Memorandum between Sakpatenti and the Wine Association of Georgia*

According to the Law of Georgia ''On Appellations of Origin and Geographical Indications of Goods'', the basis for the protection of appellations of origin and geographical indications in Georgia is their registration at Sakpatenti or an interstate agreement. This law in fact came into effect in 2005, along with this, its application became possible only with respect to wines, spirits and mineral waters, as the subordinate legislation adopted in 2003 by the Ministry of Agriculture and Foodstuffs and being in force by this period provided only for the study and determination of the link of characteristics of wines, wine brandies and mineral waters with the geographical place, specification of the borders of a geographical place, registration of relevant appellations of origin and control of their use.

The map of Georgia below shows the micro-zones corresponding to the geographical indications registered in Georgia at present.

ადგილწარმოშობის დასახელებას, რომელთაგან 4 მაკედონიიდანაა – ღვინის, ბრინჯის, თაფლის და ტრადიციული კონსერვირებული წიწაკის სალათის ადგილწარმოშობის დასახელებები, 1 პერუდან – ყავის მწვანე მარცვლების ადგილწარმოშობის დასახელება და 1 სერბეთიდან – თაფლის ადგილწარმოშობის დასახელება.

2010 წელს გაგრძელდა მუშაობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმების დადებისათვის აუცილებელი წინასწარი ღონისძიებების გასატარებლად. კერძოდ, განხორციელდა აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში გასაცვლელი გეოგრაფიული აღნიშვნების სიების წინასწარი შესწავლა და დაზუსტება.

Under the Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration, the protection on the territory of Georgia was granted to six appellations of origin. Of these 4 are from Macedonia and are appellations of origin of wine, rice, honey and traditional canned pepper salad, one is from Peru and represents an appellation of origin of green coffee beans, and one is from Serbia and it is an appellation of origin of honey.

In 2009 the work continued for taking preliminary measures necessary for the conclusion of an agreement between the European Union and Georgia on mutual recognition of agricultural products and foodstuffs. In particular, preliminary lists of geographical indications to be exchanged within the framework of this agreement were studied and specified.



# საავტორო უფლებები

## COPYRIGHT

საქპატენტი, საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო საავტორო სამართლის ნორმებით დადგენილ ფარგლებში, ახორციელებდა და კვლავ განაგრძობს ფართო საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საქმიანობას საავტორო და მომიჯნავე უფლებების საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ავტორებთან, ასევე საავტორო უფლების სხვა მფლობელებთან.

საავტორო უფლების სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2010 წლის მანძილზე ჩატარდა არაერთი შეხვედრა ავტორებთან, მომიჯნავე უფლებების მფლობელთა სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფებთან და გაერთიანებებთან. ამ შეხვედრების დროს დაინტერესებული ავტორებისა და სხვა უფლებამფლობელების თხოვნით მიმდინარეობდასაავტოროსამართლის ნორმების განმარტება და პრაქტიკული საკითხების განხილვა, რომლებიც ეხებოდა როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლებების განხორციელებასა და უფლებების გადაცემას, ისე საავტორო ხელშეკრულებების გაფორმების, საავტორო ჰონორარის მიღების წესებსა და უფლებების დარღვევის სხვადასხვა შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენების შესაძლებლობებს.

2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ზემოაღნიშნულ საკითხებზე ჩატარებულია 900-მდე ინდივიდუალური კონსულტაცია და განმარტებითი საუბარი.

ავტორთა და უფლებამფლობელთა განცხადებების საფუძველზე 2010 წელს



*სემინარი მასმედიის წარმომადგენლებისთვის*
*Seminar for representatives of mass media*
*იურიდიული და საავტორო სამართლის დეპარტამენტის უფროსი ელენე ქემაშვილი*
*Mrs. Elene Kemashvili - Head of Legal and Copyright Law Department*

Sakpatenti, within the framework of the legislation of Georgia and norms of international copyright law, has continued consultations and educational activities with authors as well as copyright owners concerning the copyright and neighbouring rights.

For the purpose of raising awareness in the copyright direction, meetings with various groups and associations of authors, different groups of neighebouring right holders, authors and other copyright holders took place. During such meetings, upon request of interested authors and other right holders legal norms were explained and practical issues were considered, which were mainly linked with issues of enforcement of copyright and related rights, assignment, licensing, the rule of collection of royalties, possibilities of taking measures provided for

დეპონირებულია 499 ნაწარმოები და გაცემულია შესაბამისი დეპონირების მოწმობა. ავტორებისა და უფლებამფლობელების მიერ დეპონირებული ყველა ნაწარმოები ინახება საქპატენტში, საავტორო უფლებების დაცვის განყოფილების არქივში.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონში 2010 წელს განხორციელებული ცვლილების თანახმად, დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. აღნიშნული ცვლილებით, დეპონირებას მიენიჭა უფრო მტკიცე სამართლებრივი სტატუსი. თუ კანონის ძველი რედაქციით, დეპონირება არ ადასტურებდა ავტორობას, განხორციელებული ცვლილების შედეგად, განმცხადებელს ენიჭება პირობითი საავტორო უფლებები, რაც ზრდის განმცხადებლების მხრიდან ნაწარმოებების დეპონირების ინტერესს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საავტორო უფლებების წარმოშობისათვის ნაწარმოებების დეპონირება არ არის აუცილებელი, ვინაიდან მათზე საავტორო უფლება წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან.

by the law in various cases of infringement of rights.

By December 2010 up to 900 consultations and explanatory conversations were offered regarding these issues.

The works deposited by authors and right holders are stored in the archives of the Copyright Law Protection Section.

Upon request of authors and other holders of rights, 499 deposition certificates were issued in 2010.

According to the amendments of 2010 to the ''Law of Georgia on Copyright and Neighbouring Rights'', a person indicated in the deposition certificate is deemed as the author/holder of copyright of the work, unless otherwise proved. By virtue of the amendments, deposition acquired a stronger legal status. By the older version of the Law, deposition did not certify authorship, whereas, according to the amendments, an applicant is granted conventional copyright, which increases the interest of applicants in deposition.

However, it should be noted that to enjoy the copyright it is not necessary to deposit works, as copyright commences from the moment of its creation.





*შეხვედრა ავტორებთან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში*
*Meeting with authors at the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia*
*ფოტოზე: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და საქპატენტის თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე*
*On the photo: Mr. Nikoloz Rurua, Minister of Culture and Monuments Protection of Georgia and Mr. Irakli Ghvaladze, Sakpatenti Chairman*

## საავტორო უფლებების რეგისტრაცია (2005); დეპონირება (2006–2010)

COPYRIGHT REGISTRATION (2005); DEPOSITION OF WORKS (2006–2010)

| | | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტერატურული ნაწარმოებები | ლიტერატურული ნაწარმოები | 120 | 130 | 35 | 177 | 86 | LITERARY WORKS | LITERARY WORKS |
| | წიგნი, ბროშურა | 4 | 9 | 49 | 105 | 2 | BOOK, BOOKLET | |
| | სცენარი, სინოფსისი | 176 | 133 | 55 | – | 74 | SCENARIOS, SYNOPSIS | |
| | კომპიუტ. პროგრამა | 11 | 10 | 16 | 19 | 19 | COMPUTER PROGRAM | |
| | აღწერილობა | 157 | 99 | 59 | – | 6 | DESCRIPTION | |
| მეცნიერება | სამეცნიერო ნაშრომი | 9 | 7 | 116 | – | 39 | SCIENTIFIC PAPER | SCIENCE |
| | სამეცნიერო- -მეთოდური ნაშრომი | – | 2 | 7 | – | 22 | SCIENTIFIC METHODICAL WORK | |
| | მეთოდური ნაშრომი | 1 | – | – | – | 56 | METHODICAL WORK | |
| | სამეცნიერო სტატია | – | – | – | 115 | 5 | SCIENTIFIC ARTICLE | |
| | სხვა | – | – | 8 | – | – | OTHER | |
| მუსიკალური ნაწარმოები | | 40 | 42 | 51 | 33 | 39 | MUSICAL WORK | |
| აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები | | 9 | 30 | 9 | 12 | 10 | AUDIOVISUAL WORK | |
| სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 4 | 3 | 3 | 26 | 21 | VISUAL ARTS | FINE ARTS |
| | ფერწერა | 2 | 5 | 1 | – | 17 | PAINTING | |
| | ქანდაკება | 56 | 22 | 1 | – | 7 | SCULPTURE | |
| | დიზაინი | 2 | – | – | – | 6 | DESIGN | |
| | ესკიზი | – | – | 19 | – | 5 | SKETCH | |
| დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნება | | 11 | 11 | 15 | 2 | 5 | DECORATIVE APPLIED OR MONUMENTAL | |
| ლოგო | | 5 | 1 | – | – | 12 | LOGO | |
| არქიტექტურა, ქალაქთმშენებლობა | | 15 | 27 | 19 | 25 | 4 | ARCHITECTURE, TOWN-PLANNING | |
| ფოტოგრაფია | | 2 | 3 | 2 | 7 | 6 | PHOTOGRAPHY | |
| მონაცემთა ბაზა | | 5 | 11 | 6 | – | 32 | DATABASE | |
| გადამუშავებული ნაწარმოები | | 11 | 7 | 9 | 2 | – | DERIVED WORK | |
| შედგენილი ნაწარმოები | | 12 | 14 | 1 | 15 | 19 | COMPILED WORK | |
| სახელმძღვანელო | | – | – | 6 | – | 4 | MANUAL | |
| სულ | | 652 | 566 | 487 | 538 | 496 | TOTAL | |

# მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები

# NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანის ან გამოვლენისა და გაუმჯობესების პროცესი ადამიანის მიზანმიმართული, შემოქმედებითი საქმიანობაა და ასეთი შრომის ნაყოფი განეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს, რომელსაც ესაჭიროება სამართლებრივი დაცვა.

საქართველოში მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების სამართლებრივი დაცვა და მათზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონით „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 29 დეკემბერს. აღნიშნული კანონი ვრცელდება მცენარეთა და ცხოველთა ყველა გვარსა და სახეობაზე. კანონის თანახმად, მცენარისა და ცხოველის ახალი ჯიშის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებია: სიახლე, განსხვავებულობა, ერთგვაროვნება და სტაბილურობა.

საქართველო 2008 წლის 29 ნოემბერს მიუერთდა UPOV-ის (მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირი) კონვენციას. კავშირის მიზანია წევრი ქვეყნების მიერ მცენარეთა ახალი ჯიშების სელექციონერების უფლებების დაცვა კონვენციით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, ეროვნულ კანონმდებლობათა საფუძველზე. ამ კონვენციის თანახმად, სელექციონერს, რომელსაც საქპატენტში შეტანილი აქვს განაცხადი მცენარის ახალ ჯიშის რეგისტრაციისათვის, სხვა წევრ ქვეყანაში, ამავე განაცხადის 12 თვის განმავლობაში შეტანის შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს პრიორიტეტი პირველი განაცხადის შეტანის

The process of breeding or discovery and development of a new plant variety and/or animal breed is a purposeful creative human activity and the result of such work requires legal protection.

Legal protection of new varieties of plants and breeds of animals and acquisition of exclusive rights in Georgia is regulated on the basis of the Law of Georgia ''On New Breeds of Animals and Varieties of Plants'', which entered into force on December 29, 2010. The Law applies to all genera and species of plants and animals. According to the Law, protectability criteria of a new animal breed/plant variety are novelty, distinctness, uniformity, and stability.

On November 29, 2008 Georgia acceded to the International Convention of the International Union for the Protection of New Varieties of Plants (UPOV). The objective of the Union is to protect rights of breeders of new plant varieties by the members states, according to the principles established by the Convention, on the basis of national legislations. According to the Convention, a breeder who has filed an application for registration of a new plant variety with Sakpatenti, in case of filing the same application with another member state during 12 months may claim priority with the date of filing the first application.

On December 29, 2006, the Laws of Georgia ''For the Protection of New Varieties of Plants'' and ''For the Protection of New Breeds of Animals'' were enacted. On the basis of these Laws, in 2008 Sakpatenti began to receive applications for new plant varieties

თარიღით.

2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა ორი კანონი „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“ და „ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“, რომელთა საფუძველზე 2008 წლიდან საქპატენტში დაიწყო განაცხადების მიღება მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებზე. 2008 წლიდან 2011 წლის პირველი იანვრისათვის საქპატენტში სულ შემოვიდა 25 განაცხადი.

ახალი კანონი „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ“ ითვალისწინებს საქპატენტში შემოტანილი განაცხადების ექსპერტიზას, რომლის საფუძველზე უწყება იღებს გადაწყვეტილებას მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშის რეგისტრაციის შესახებ. ამასთან, ექსპერტიზის პროცედურა მოიცავს განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებას, ფორმალური ექსპერტიზის ჩატარებას, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებას სამთვიანი პერიოდით (პირველი პუბლიკაცია) და მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის გადაცემას გამოსაცდელად განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე

გამოცდას ახორციელებს აკრედიტებული პირი. საქპატენტს შეუძლია სელექციონერის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ან სელექციონერის მიერ ჩატარებული გამოცდის (1-3 წლიანი პერიოდი) შედეგების საფუძველზეც. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის რეგისტრაციის შესახებ, შეაქვს რეესტრში მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიში და გასცემს მოწმობას, რომელიც სელექციონერის, როგორც განსაკუთრებული უფლების მფლობელის, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტია. შემდეგ საქპატენტი ახალი ჯიშების ოფიციალურ ბიულეტენში აქვეყნებს მონაცემებს: მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის გვარსა და



*ქართული ნაგაზი*
*Georgian Shepherd Dog*

and animal breeds. From 2008 to January 1, 2011, in total 25 applications were filed with Sakpatenti.

New Law ''On New Breeds of Animals and Varieties of Plants'' provides for examination of an application filed with Sakpatenti, on the basis of which the Office takes a decision on the registration of the new plant variety or animal breed. Along with this, the examination procedure includes establishing the filing date of the application, conducting examination as to form, publication in the Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds with a three-month period (first publication) and handing over the new plant variety/animal breed for testing for distinctness, uniformity and stability.

The testing is carried out by an accredited person. Sakpatenti may also take the decision concerning the granting of the breeder's right on the basis of the results of the tests carried out by competent authorities of another country or tests carried out by the breeder (1-3-year period). In case of the favourable conclusion, Sakpatenti takes the decision on the registration of the new plant variety/animal breed, enters the new plant variety/animal breed in the Register and issues a certificate which is a document certifying ownership of the breeder as the holder of an exclusive right. Sakpatenti publishes data in the Official Bulletin of New Plant Varieties and Animal Breeds the genus and species of

სახეობას, დასახელებას, აღწერილობასა და ფოტოგამოსახულებებს, სელექციონერის სახელსა და მისამართს, რეგისტრაციის ნომერს და თარიღს (მეორე პუბლიკაცია).

2008-2010 წლებში მცენარისა და ცხოველის ახალ ჯიშებზე შემოვიდა შემდეგი განაცხადები:

- 2008 წელს შემოვიდა 7 განაცხადი, მათ შორის:
  სიმინდის ახალ ჯიშზე – 5;
  ხორბლის ახალ ჯიშზე – 2.
- 2009 წელს შემოვიდა 7 განაცხადი, მათ შორის:
  კალმახის ახალ ჯიშზე – 1;
  ქერის ახალ ჯიშზე – 2;
  ხახვის ახალი ჯიშზე – 1;
  სიმინდის ახალი ჯიშზე – 1;
  თუთის ახალი ჯიშზე – 2.
- 2010 წელს შემოვიდა 11 განაცხადი. მათ შორის:
  პომიდორის ახალ ჯიშზე – 2;
  საბოსტნე სოიას ახალ ჯიშზე – 2;
  მუხუდოს ახალ ჯიშზე – 2;
  სიმინდის ახალ ჯიშზე – 2;
  ხორბლის ახალ ჯიშზე – 1;
  ლობიოს ახალ ჯიშზე – 1;
  ოსპის ახალ ჯიშზე – 1.

ყველა ზემოაღნიშნულ განაცხადზე ექსპერტიზა დასრულებულია და გამოქვეყნებულია „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენში" (პირველი პუბლიკაცია).

საქპატენტში წარმოდგენილ იქნა, აგრეთვე, 2008-2010 წლებში შემოტანილი 17 ახალი ჯიშის გამოცდის შედეგები (განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე), რომელიც შესრულებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული მეთოდიკის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში განახლებულია საქმის წარმოება საშემოდგომო ხორბლის ახალ ჯიშზე – „ალმასი", რომელზეც

the new variety/breed, denomination, description and photographic images, the name and address of the breeder, the number and date of registration (second publication).

In 2008-2010 the following applications were filed for new varieties of plants and breeds of animals:

- In 2008, 7 applications were filed, among them:
  new variety of maize – 5;
  new variety of wheat – 2.
- In 2009, 7 applications were filed. These are:
  new breed of trout – 1;
  new variety of barley – 2;
  new variety of onion – 1;
  new variety of maize – 1;
  new variety of mulberry – 2.
- In 2010, 11 applications were filed. Among these are:
  new variety of tomato – 2;
  new garden variety of soya – 2;
  new variety of pea – 2;
  new variety of maize – 2;
  new variety of wheat – 1;
  new variety of bean – 1;
  new variety of lentil – 1.

On all the above-mentioned applications examination is completed and they are published in the Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds (first publication).

Results of testing (for distinctness, uniformity and stability) of 17 applications filed in 2008-2010 were also presented at Sakpatenti, carried out according to the methods of examination approved by the De-



*საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ეცნობა მცენარეთა ახალ ჯიშებს*
*Vice-speaker of the Parliament of Georgia Mr. Gigi Tsereteli interested in new plant varieties*

განაცხადი შეტანილია ჯერ კიდევ „საქჯიშცენტრში“. განმცხადებელმა წარმოადგინა ჯიშის გამოცდის შედეგების ამსახველი დასკვნა, რომელიც, აგრეთვე, გამოქვეყნდა „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენში“ (პირველი პუბლიკაცია).

2008-2010 წლებში საქპატენტში განაცხადების შემოტანის დინამიკა გვიჩვენებს, რომ მართალია უცხოელ განმცხადებლებს ჯერ არ შემოუტანიათ განაცხადი საქპატენტში, მაგრამ შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 11 განაცხადი, რაც 2009 წელთან შედარებით 57%-ით მეტია და მიუთითებს ამ ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების გაზრდის შედეგად დარგის აღორძინების ტენდენციაზე.

cree of the Minister of Agriculture of Georgia.

In the reporting period proceedings were renewed for the new variety of autumn wheat ''Almasi'', for which the application had been filed with Sakjishtsentri. The applicant submitted a conclusion reflecting results of testing of the variety, which was also published in the Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds (first publication).

In 2008-2010 the dynamics of filing applications with Sakpatenti shows that although foreign applicants have not filed applications yet, the total number of applications increased and equaled 11, which is more by 57% as compared with 2009. This indicates the tendency of revival of agriculture as a result of growth of investments in the given branch.

2008–2010 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2008–2010

| | 2008 | 2009 | 2010 | |
|---|---|---|---|---|
| ადგილობრივი | 7 | 7 | 11 | LOCAL |
| უცხოური | 0 | 0 | 0 | FOREIGN |
| სულ | 7 | 7 | 11 | TOTAL |



# დავები

# DISPUTES

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე ექსპერტიზასთან დაკავშირებით წარმოქმნილ დავებს კოლეგიური წესით იხილავს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქპატენტის თავმჯდომარე.

2010 წელს საქპატენტის სააპელაციო პალატაში შემოსული დავების უმრავლესობას, წინა წლების მსგავსად, შეადგენს სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები, რაც აღნიშნული ობიექტისადმი საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესზე მიუთითებს.

საჩივართა განხილვის შედეგები ასეთია:

2008 წელს „საქპატენტში" შემოვიდა 131 სააპელაციო საჩივარი, აქედან 1 – გამოგონებაზე და 130 – სასაქონლო ნიშანზე. განხილულ იქნა 106 საჩივარი, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 73, ნაწილობრივ – 1, ხოლო დანარჩენ 32 სააპელაციო საჩივარზე გამოტანილ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება.

2009 წელს საქპატენტში შემოვიდა 122 სააპელაციო საჩივარი. აქედან 3 – გამოგონებაზე და 119 – სასაქონლო ნიშანზე. განხილულ იქნა 70 საჩივარი, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 46, ნაწილობრივ – 5, ხოლო დანარჩენ 19 სააპელაციო საჩივარზე გამოტანილი იყო უარყოფითი გადაწყვეტილება.

2010 წელს საქპატენტში შემოვიდა 134 სააპელაციო საჩივარი. აქედან 4 – გამოგონებაზე, 4 – სასარგებლო მოდელზე და

Under the legislation of Georgia, the Chamber of Appeals of the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti hears disputes formed in connection with examination of industrial property subject-matters. The Chairman of the Chamber of Appeals is the Chairman of Sakpatenti.

The majority of appeals filed with the Chamber of Appeals of Sakpatenti in 2010, similarly to previous years, were mostly issues linked with examination of trademarks, which indicates the special interest of the public in these subject-matters.

The results of the hearing of appeals are as follows:

In 2008, 131 appeals were filed with Sakpatenti. Of these one was with respect to invention and 130 – with respect to trademarks. 106 appeals were heard, of which 73 appeals were upheld fully, 1 appeal – partially, the remaining 32 appeals were refused.

In 2009, 122 appeals were filed with Sakpatenti. Of these 3 were with respect to invention and 119 – with respect to trademarks. 70 appeals were heard, of which 46 appeals were upheld fully, 5 appeals – partially, and the remaining 19 appeals were refused.

In 2010, 134 appeals were filed with Sakpatenti. Of these 4 were with respect to inventions, 4 – with respect to utility models and 126 – with respect to trade-

## სააპელაციო პალატაში შემოსული და განხილული აპელაციების რაოდენობა

NUMBER OF APPEALS FILED WITH AND CONSIDERED BY THE CHAMBER OF APPEALS

| ობიექტები<br>SUBJECT-MATTER | | 2008 | | 2009 | | 2010 | | სულ<br>TOTAL | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიღებ.<br>FILED | განხილ.<br>EXAMIN. | მიღებ.<br>FILED | განხილ.<br>EXAMIN. | მიღებ.<br>FILED | განხილ.<br>EXAMIN. | მიღებ.<br>FILED | განხილ.<br>EXAMIN. |
| გამოგონება<br>INVENTION | განაცხ.<br>APPLIC. | 1 | - | 3 | 2 | 4 | 7 | 8 | 9 |
| | III პირი<br>PARTY | | | | | | | | |
| სასარგებლო მოდელი<br>UTILITY MODEL | განაცხ.<br>APPLIC. | | | | | 4 | | 4 | |
| | III პირი<br>PARTY | | | | | | | | |
| სამრეწველო ნიმუში<br>INDUSTRIAL DESIGN | განაცხ.<br>APPLIC. | | | | | | | | |
| | III პირი<br>PARTY | | | | | | | | |
| სასაქონლო ნიშნები<br>TRADEMARKS | განაცხ.<br>APPLIC. | 106 | 92 | 89 | 56 | 126 | 164 | 321 | 312 |
| | III პირი<br>PARTY | 24 | 14 | 30 | 12 | 36 | 32 | 90 | 58 |
| სულ<br>TOTAL | განაცხ.<br>APPLIC. | 107 | 92 | 92 | 58 | 134 | 171 | 333 | 321 |
| | III პირი<br>PARTY | 24 | 14 | 30 | 12 | 36 | 32 | 90 | 58 |

126 სასაქონლო ნიშანზე. განხილულია 171 საჩივარი, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 122, ნაწილობრივ – 4, ხოლო დანარჩენ 45 სააპელაციო საჩივარზე გამოტანილ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტიზისა და საქპატენტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. დღემდე სასამართლოში გასაჩივრებულია საქპატენტის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება უფლებების მოპოვებას სამრეწველო საკუთრების

marks. 171 appeals were heard, of which 122 appeals were upheld fully, 4 appeals – partially, and the remaining 45 appeals were refused.

The decision of the Chamber of Appeals of Sakpatenti and examination may be appealed at the board of administrative action of Tbilisi City Court. Noteworthy, the decisions of Sakpatenti dealing with acquisition of rights in industrial property subject-matters (invention, utility model, industrial design, trademark) have been appealed at the court. The decision of Sakpatenti with respect to the deposition of works protected by copyright have not

## სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა

NUMBER OF DECISIONS TAKEN BY THE CHAMBER OF APPEALS

| ობიექტები SUBJECT-MATTERS | | 2008 | | | 2009 | | | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED |
| | | სრულად COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრულად COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრულად COMPLETE | ნაწილ. PART. | |
| გამოგონება INVENTION | განაცხ. APPLIC. | | | | | | 2 | 2 | | 5 |
| | III პირი PARTY | | | | | | | | | |
| სასარგებლო მოდელი UTILITY MODEL | განაცხ. APPLIC. | | | | | | | | | |
| | III პირი PARTY | | | | | | | | | |
| სამრეწველო ნიმუში INDUSTRIAL DESIGN | განაცხ. APPLIC. | | | | | | | | | |
| | III პირი PARTY | | | | | 2 | | | | |
| ნიშნები MARKS | განაცხ. APPLIC. | 68 | 1 | 23 | 38 | 4 | 14 | 114 | 2 | 16 |
| | III პირი PARTY | 5 | | 9 | 8 | 1 | 3 | 6 | 2 | 24 |
| სულ TOTAL | განაცხ. APPLIC. | 68 | 1 | 23 | 38 | 4 | 16 | 116 | 2 | 21 |
| | III პირი PARTY | 5 | | 9 | 8 | 3 | 3 | 6 | 2 | 24 |

ობიექტებზე (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო ნიშანი). სასამართლოში არ გასაჩივრებულა საქპატენტის გადაწყვეტილება საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების დეპონირებასთან დაკავშირებით, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების საქპატენტში დეპონირება არ წარმოადგენს საავტორო უფლებების წარმოშობის საფუძველს, იგი მხოლოდ ადასტურებს დეპონირების ფაქტს. რაც შეეხება სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების მოპოვებასთან დაკავშირებულ სასამართლოში განხილულ დავებს, მათი უმრავლესობა ყველაგ სასაქონლო ნიშნებს ეხება, რადგან

been appealed at the court yet. The reason beyond this must be that the deposition of the works protected by copyright with Sakpatenti is not the ground for the commencement of copyright, it only confirms the fact of the deposition. As regards the disputes heard in the court in connection with acquisition of rights in industrial property subject-matters, their majority again concerns trademarks, as this subject-matter is the most widely-used in Georgian entrepreneurial and commercial activity.

In 2010 Sakpatenti participated in 14 hearings, of which 12 were linked with acquisition of rights in trademarks and 2 – with inventions. The majority of disputes

აღნიშნული ობიექტი ყველაზე ფართოდ გამოიყენება ქართულ სამეწარმეო და კომერციულ საქმიანობაში.

2010 წელს საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო 14 სასამართლო განხილვაში, აქედან სასაქონლო ნიშანზე უფლებების მოპოვებას ეხებოდა 12, გამოგონებას კი – 2. აღნიშნული სასამართლო განხილვებიდან, დავების უმრავლესობა საქპატენტის სასარგებლოდ გადაწყდა. სასამართლოს მიერ საქპატენტის მიმართ სარჩელი დაკმაყოფილდა ორ შემთხვევაში, ერთ განხილვაში კი სასამართლომ საქპატენტი სცნო არასათანადო მოპასუხედ. ამასთანავე, სასამართლოების მომართვის საფუძველზე, ოთხ სასამართლო განხილვაში საქპატენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სპეციალისტების სტატუსით.

were settled in favour of Sakpatenti, 2 appeals against Sakpatenti were upheld by the court. In 1 hearing Sakpatenti was regarded as an improper defendant. By a court inqury, Sakpatenti staff participated in 4 court hearings with the status of specialists.



*შეხვედრა პატენტრწმუნებულებთან*
*Meeting with patent attorneys*

# კანონშემოქმედება

## LAWMAKING

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, 2010 წლის განმავლობაში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" მიერ შემუშავდა არაერთი კანონპროექტი. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედ თითქმის მთელ სამართლებრივ ბაზას. საერთაშორისო რეკომენდაციებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზების გათვალისწინებით, განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები. კერძოდ:

- ძირეული ცვლილებები განიცადა „საქართველოს საპატენტო კანონმა": 2010 წლის 4 მაისს „საქართველოს საპატენტო კანონში" შეტანილ იქნა როგორც შინაარსობრივი, ისე რედაქციული ხასიათის ცვლილებები. კერძოდ, უფრო ნათლად განისაზღვრა პატენტუნარიანობის კრიტერიუმები, გამოგონებაზე ექსპერტიზის ჩატარების წესი და პირობები, დეტალურად განიმარტა გამოყენებული ტერმინები, განისაზღვრა საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატისა და საქპატენტის თავმჯდომარის ფუნქციები და უფლებამოსილება. კანონის გამოყენების გამარტივების მიზნით, მოხდა თავებისა და მუხლების დასათაურება.
- 2010 წლის 4 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ", რომელშიც გათვალისწინებუ-

In 2010 National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti prepared a number of draft laws to improve the legislation in the field of intellectual property protection. Legislative changes affected almost the entire legal basis currently in force. A series of amendments were made to the intellectual property legislation of Georgia based on the international recommendations and legislative flaws revealed in practice.

- Fundamental changes were made to the Patent Law of Georgia by amendment of May 4, 2010, through the modification of content and editorial changes. In particular, criteria of patentability, the rule and terms of conducting patent examination were defined thoroughly, the used terms became precise. The functions and competences of the Chamber of Appeals of Sakpatenti and the Chairman of Sakpatenti were determined. For the simplification of the use of the Law, the chapters and articles were titled.
- On May 4, 2010 the Parliament of Georgia adopted the Law on Design, which reflected the requirements of the European Union and recent approaches of the international practice. It is noteworthy that the newly

ლია ევროკავშირის მოთხოვნები და საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული უახლესი მიდგომები. აღსანიშნავია, რომ ქართული სამართლისათვის ახალია ცნება „დიზაინი", რომელმაც კანონის ამოქმედების შემდეგ ჩაანაცვლა ცნება „სამრეწველო ნიმუში". ახალი კანონის ამოქმედებამდე სამრეწველო ნიმუშის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა „საქართველოს საპატენტო კანონით".

- 2010 წლის 15 დეკემბერს „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის გაერთიანების შედეგად მიღებულ იქნა ახალი კანონი „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ".
- 2010 წლის 28 ივნისს ცვლილებები და დამატებები შევიდა, ასევე, „საქართველოს კანონში სასაქონლო ნიშნების შესახებ", რომლითაც გათვალისწინებულ იქნა სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაცია. აღნიშნული პროცედურით სარგებლობა პრაქტიკაში მეტად მოსახერხებელი აღმოჩნდა ბიზნესის წარმომადგენლებისთვის.
- ცვლილებები შეეხო, ასევე, „საქართველოს კანონს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ". 2010 წლის 4 მაისის პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებით განისაზღვრა, რომ დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. აღნიშნული ცვლილებით, დეპონირებას მიენიჭა უფრო მყარი სამართლებრივი სტატუსი. თუ კანონის

introduced term "design" replaced the term "utility model" in the new law. Protection of the utility models was regulated in accordance with the Patent Law of Georgia, before the new law entered into force.

- On December 15, 2010 the new law on the Protection of Animal breeds



კანონპროექტის განხილვა
*Debating a bill*

and Plant Varieties was adopted as a result of unification of two laws, the Law of Georgia on the Protection of New Varieties of Plants and the Law of Georgia on the Protection of New Breeds of Animals.

- On June 28, 2010, amendments were made to the "Law of Georgia on Trademarks". The amendments provided for an accelerated procedure of the registration of trademarks. The procedures turned out to be more convenient for the business representatives.
- Amendments also affected the Law of Georgia "On Copyright and Neighboring Rights". The amendments made on May 4, 2010 by the Parliament of Georgia defined a person indicated

ძველი რედაქციით, დეპონირება არ ადასტურებდა ავტორობას, განხორციელებული ცვლილების შედეგად, განმცხადებელს ენიჭება პირობითი საავტორო უფლებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების დეპონირება კვლავაც ნებაყოფლობითია და საავტორო უფლების წარმოშობისათვის რაიმე სახის ფორმალობის დაცვა სავალდებულო არ არის. გარდა ამისა, დამატებით დაზუსტდა, რომ ქონებრივი უფლებები დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებასთან (სამსახურებრივი ნაწარმოები), შესაბამისად ეკუთვნის დამსაქმებელს ან შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, ტერმინი „სამუშაოს მიმცემი" შეიცვალა ტერმინით „დამსაქმებელი".

უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს საპატენტო კანონთან" და „დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობის მიზნით, 2010 წლის 4 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189[1]-ე მუხლში შეტანილ იქნა ტერმინოლოგიური სახის ცვლილებები. ცვლილებები შეეხო, ასევე, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსაც", რომელში შეტანილი დამატების შედეგად განისაზღვრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პატენტზე და დიზაინის რეგისტრაციაზე საქპატენტში წარდგენილი განაცხადის არსის განზრახ გამჟღავნებისათვის. ამასთან, აღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ

in the deposition certificate as the author/ right holder of a copyright, unless otherwise proved. By virtue of the amendments, deposition acquired a stronger legal status. The old version of the law did not provide for certification/confirmation of authorship through the deposition. According to the amendments an applicant is granted conditional copyright. At the same time it should be mentioned, that deposition is still voluntary and to enjoy the copyright protection no formalities are required. Besides, it was additionally specified that the economic rights on the work created in the course of fulfillment of the employer's order (work created in the course of employment) shall belong to the employer or client unless otherwise provided by the agreement. Furthermore the term ''job supplier'' is replaced by the term ''employer''.

It should be noted, that on May 4, 2010 terminological changes were made to Article 189[1] of Criminal Code of Georgia, in order to be compliant with the Patent Law of Georgia and the Law of Georgia on Design.

The changes were also made to the "Code of Administrative Violations of Georgia''. Amendments determined administrative responsibility for the intentional disclosure of the essence of the application filed at Sakpatenti for the registration of patent or design. The amendment defined duly authorized persons from the Ministry of Internal Affairs and the Ministry of Finance who are entitled

უფლებამოსილი თანამდებობის პირების სახით, განსაზღვრული იქნენ ოქმის შემდგენი უფლებამოსილი პირები.

2010 წელი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მიღებულ იქნა არაერთი ნორმატიული აქტი. კერძოდ:

- „საქართველოს საპატენტო კანონის" მე-8 მუხლის შესაბამისად, 2010 წელს საქპატენტის მიერ შემუშავდა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" დებულება", რომლითაც განისაზღვრა საქპატენტის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი.
- ასევე, 2010 წლის 3 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის N182 დადგენილება „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ", რომლითაც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მომსახურებასთან დაკავშირებული საფასურები მოვიდა საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში. გათანაბრდა საფასურები უცხოელი და ადგილობრივი განმცხადებლებისთვის. თუმცა, განმცხადებელ გამომგონებლებსა და დიზაინერებზე და, აგრეთვე, სტუდენტ, სკოლის მოსწავლე და პენსიონერ განმცხადებელ გამომგონებლებსა და დიზაინერებზე განისაზღვრა 70-90%-იანი შეღავათები.
- „დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, საქ-

to draw up the protocol concerning the abovementioned violation.

The Year 2010 was significant in terms of numerous statutory acts adopted by the government of Georgia in the field of Intellectual Property. In particular:

- According to the Article 8 of the Patent Law of Georgia, in 2010 Sakpatenti developed and the Government of Georgia approved by the resolution №181 of July 3, 2010, ''The Regulation of the legal entity of public law – National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'', which defined the main objectives, functions, powers and rules of operation of Sakpatenti.
- On July 3, 2010, the Resolution of the Government of Georgia №182 ''On Approval of Fees of Services Related to Patenting, Registration and Deposition of Intellectual Property Objects'' was enacted, which harmonized fees for services related to intellectual property objects according to the international requirements. Fees were equalized for foreign and local applicants. Although, students, pupils and retiree applicant inventors and designers enjoy 70-90-% discounts.

According to Article 35 of the Law of Design, Sakpatenti draw up and the government of Georgia approved by the resolution №262 of August 25, 2010 ''The Instruction on Design Registration'', which defined in detail procedures for filing application, examination and the registration.

პატენტის მიერ შემუშავდა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №262 დადგენილებით დამტკიცდა „დიზაინის რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქცია", რომლითაც დეტალურად განისაზღვრა დიზაინის განაცხადის შედგენის, წარდგენის, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის პროცედურები.

„საქართველოს საპატენტო კანონის" 2010 წლის 26 ოქტომბრის ცვლილებებითა და დამატებებით საქპატენტის თავმჯდომარეს მიენიჭა ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებამოსილება. განხორციელებული ცვლილების შედეგად, საქართველოს საპატენტო კანონის მე-8[1] მუხლის საფუძველზე, საქპატენტის მიერ მომზადდა ორი ნორმატიული აქტი:

- საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა დებულება „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ", რომლითაც დეტალურად განისაზღვრა საქართველოს პატენტრწმუნებულთა ატესტაციისა და რეგისტრაციის წესი და პირობები, ასევე, პატენტრწმუნებულთა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. განისაზღვრა და შესაბამისად გამჭვირვალე გახდა საატესტაციო კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები. აღნიშნული დებულების თანახმად, პატენტრწმუნებულთა ატესტაციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც უმაღლესი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო, ისე იურიდიული განათლების მქონე პირებს.
- საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა, აგრეთვე, „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულება", რომლითაც განისაზღვრა საქპატენტის სააპელაციო პალატის ფუნქციები, სტრუქტურა და უფლებამოსილებანი. დეტალურად გაიწერა

By the amendments of October 26, 2010 to the Patent Law of Georgia the chairmen of Sakpatenti was authorized to issue the statutory acts. As a result of the amendments, on the basis of the Article 8[1] Patent Law of Georgia Sakpatenti drew up two statutory acts:

- Order of the Chairman of Sakpatenti on ''Approving the Regulations on Patent Attorneys of Georgia'', defined the rule and terms of certification and registration of patent attorneys and other matters linked to their activities. The Regulations also defined the formation and operation principles of certification committee, and hence made them transparent. According to the Regulations, persons with the higher technical and natural-science field background, as well as legal education will be allowed to participate in the certification.
- By the order of the Chairman of Sakpatenti ''Regulation of the Chamber of Appeals functioning at Sakpatenti'' was approved, which defined the functions, structure and competences



*შეხვედრა იურიდიულ კომპანიებთან*
*Meeting with law firms*

პალატაში მიმართვისა და საქმისწარმოების წესი და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

გასულ წელს გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები საავტორო უფლებების დაცვის სფეროში. კერძოდ, საავტორო უფლებათა დაცვის პოპულარიზაციის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, საავტორო უფლებათა დაცვის სტრატეგიის შემუშავებისა და უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 12 ნოემბრის N912 ბრძანებულებით შეიქმნა საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც საერთაშორისო გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, განახორციელებს საავტორო უფლებების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციას. ამავე ბრძანებულებით დამტკიცდა საბჭოს დებულებაც, რომლის თანახმადაც, საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის საორგანიზაციო უზრუნველყოფას და ადმინისტრირებას განახორციელებს საქპატენტი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 30 ნოემბრის N395 ბრძანებით დამტკიცდა საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სრული შემადგენლობა.

of the Chamber of Appeals. The rule of appealing to the Chamber and proceedings, along with other matters linked with its activity were outlined in detail.

Last year was marked by the active steps taken forward in the protection of copyright.

By Decree of the President of Georgia № 912 of November 12, 2010 an Interagency Coordination Council of Copyright Protection was established to promote copyright protection, raise public awareness, develop a copyright protection strategy and apply specific measures for combating infringement of copyright. Based on the international experience and EU recommendations Council will coordinate the efforts in combating copyright infringement. The same Decree approved the Regulations of the Council according to which the secretarial support and administration of the work of the Coordinating Council shall be undertaken by Sakpatenti. Resolution of the Prime Minister of Georgia №395 of November 30, 2010, approved the composition of the Interagency Coordination Council of Copyright Protection.

# საერთაშორისო ურთიერთობები

# INTERNATIONAL RELATIONS



გასული 2010 წელი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით გამოირჩეოდა მრავალი ახალი ინიციატივით. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო), ევროპის საპატენტო უწყებისა (EPO) და რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების (აშშ-ს სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი, და სხვ.) თანადგომით განხორციელდა მრავალი ახალი პროექტი და დაიგეგმა არაერთი ახალი მიმართულება, გაღრმავდა ორმხრივი ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის.

2010 წლის 29 ივლისს, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოხდა „სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა

The year 2010 was marked for a number of new initiatives taken in terms of development of international cooperation in the field of intellectual property. In cooperation with the World Intellectual Property Organization (WIPO), European Patent Office (EPO) and a number of international organizations (US Commercial Law Development Program, USAID Economic Prosperity Initiative (EPI) Project, German Technical Cooperation Society (GTZ), European Union Technical Assistance and Information Exchange Instrument (EU TAIEX)) different new projects were implemented and new directions were set, bilateral relations were strengthened between states.

On July 29, 2010, as a result of long negotiations between Georgia and the European Union, the Agreement between the European Union and Georgia on Protection of Geographical Indications of Agricultural Products and Foodstuffs was initialed. On the basis of the above-mentioned Agreement, the parties refuse to register geographical indications of other countries as trademarks.

It is also significant to protect Georgian appellations of origin in other countries. For this purpose, in 2010 the negotiations were renewed concerning mutual recognition of geographical indications with China, Turkey, Israel, Belarus, Kazakhstan,

საყვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შესახებ" შეთანხმების პარაფირება. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე მონაწილე მხარეები უარს ამბობენ იმ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსი.

საქართველოსათვის, ასევე, აქტუალურია ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა სხვა ქვეყნებშიც. ამ მიზნით, 2010 წელს განახლდა მოლაპარაკებები გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების საკითხებზე ჩინეთთან, თურქეთთან, ისრაელთან, ბელორუსთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, თურქმენეთთან და აზერბაიჯანთან.

2010 წელს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სიახლეების დანერგვისა და ახალი პროექტების განხორციელების საკითხებზე, მემორანდუმების გაფორმების მიზნით, მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა და გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა უცხოეთის ანალოგიურ უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან: ევროპის, აშშ-ს, ისრაელის, თურქეთის, შვედეთისა და დანიის საპატენტო უწყებებთან.

2010 წლის 22 სექტემბერს ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოსა და უნგრეთის საპატენტო უწყებებს შორის, რომლის ფარგლებშიც სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია საქპატენტის კადრების პროფესიული გადამზადებაც. ანალოგიური ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, გრძელდება მოლაპარაკებები სხვა ქვეყნების საპატენტო უწყებებთანაც.

გასული წელი აღსანიშნავი იყო აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან (USPTO) თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით. ორ ქვეყანას შორის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამომავლო თანამშრომლობისა და განაცხადების ელექტრონული წარდგენის სისტემის

Kyrgyzstan, Turkmenistan and Azerbaijan.

In 2010 intensive works were carried out in order to conclude memorandums of understanding on the issues of introducing novelties in the field of intellectual property and implementation of new projects. A number of working meetings took place with similar offices of foreign countries and international organizations: the European Patent Office, US Patent and Trademark Office, Israel, Turkey, Sweden and Denmark Patent Offices.

On September 22, 2010, a memorandum of understanding was signed between



*შეხვედრა აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების დირექტორთან ბატონ დევიდ კაპოსთან*
*Meeting with Mr. David Kappos, Director of the United States Patent and Trademark Office (USPTO)*

the Patent Offices of Georgia and Hungary, which along with other issues provides for professional training of Sakpatenti staff members. Negotiations to conclude similar treaties with patent offices of other countries continue as well.

The year 2010 was noteworthy in strengthening cooperation with the United States Patent and Trademark Office (USPTO). For the purpose of further coopera-

დანერგვის მიზნით, 2010 წლის მაისში საქპატენტის დელეგაცია თავმჯდომარის ირაკლი ღვალაძის ხელმძღვანელობით ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებაში. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების დირექტორთან დევიდ კაპოსთან და დაიგეგმა საპასუხო ვიზიტი საქართველოში. 2010 წლის 13 სექტემბერს ამერიკის საპატენტო უწყების დელეგაცია ხუთი ექსპერტის შემადგენლობით ეწვია საქართველოს. მათ ქართველ კოლეგებს გააცნეს აშშ-ში არსებული განაცხადების ელექტრონული წარდგენის მოდელი და სასაქონლო ნიშნებსა და გამოგონებებზე ექსპერტიზის ჩატარების პროცესი. ვიზიტის დროს შეთანხმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საბოლოო ტექსტი, რომელიც მზად არის ხელმოსაწერად. მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველოში განაცხადების ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ტექნოლოგიების გადაცემის სისტემის განვითარების ხელშეწყობას, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სასწავლო პროგრამების განხორციელებასა და სხვა.

2010 წელი აღსანიშნავია საქპატენტსა და ევროპის საპატენტო უწყებას (EPO) შორის ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებით. 11 მაისს ქალაქ მიუნხენში, ევროპის საპატენტო უწყებაში შედგა სამუშაო შეხვედრა საქპატენტისა და ევროპის საპატენტო უწყების წარმომადგენლებს შორის მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე. დასრულდა მუშაობა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე, რომლის ხელმოწერა დაგეგმილია 2011 წლის თებერვალში ქ. მიუნხენში. მემორანდუმში აისახება მრავალმხრივი სასწავლო პროგრამის განხორციელების გეგმები და მხარდაჭერა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის სისტემის დანერგვის

tion in the field of intellectual property between the two countries and introducing the system of electronic filing of applications, in May 2010 a delegation of Sakpatenti paid an official visit to the United States Patent and Trademark Office. Within the visit a meeting took place with Mr. David Kappos, Director of USPTO. A return visit to Georgia was planned on September 13, 2010 and a delegation of the United States Patent and Trademark Office, represented by 5 experts, visited Georgia. They familiarized Georgian colleagues with the model of e-filing system used in USA and the examination process of trademarks and inventions. During the visit the final text of the memorandum of understanding was agreed, which is ready for signature. The memorandum provides for assistance in launching the systems of electronic filing and technology transfer along with the capacity building of staff members, implementation of study programs, etc.

The prospects of intensification of contacts with Sakpatenti and the European Patent Office (EPO) were outlined during 2010. On May 11, 2010 representatives of Sakpatenti and the European Patent Office met at the office of EPO in Munich to discuss the matters of future cooperation. The topics of the memorandum of cooperation are finalized and it is planned to be signed in March in Munich. Memorandum will envisage delivery of multi-faceted study program implementation plans along with the topics in terms of assistance to establish technology and innovation transfer system. It should be noted that negotiations on the integration of national patent

მიმართულებით. ასევე, აღსანიშნავია EPO-ს მონაცემთა ბაზებში ეროვნული საპატენტო ინფორმაციის ინტეგრირების საკითხებზე მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება, რომლის რეალიზება იგეგმება 2011 წლისათვის. ეს კონკრეტული ნაბიჯიც ემსახურება საქპატენტის დაახლოებას ევროპის საპატენტო სისტემასთან.

საქპატენტისათვის მნიშვნელოვანი იყო EPO-ს მხარდაჭერით 2010 წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგები, სემინარები და სამუშაო შეხვედრები. კერძოდ:

- 2010 წლის 23 ივნისს საპატენტო ინფორმაციის ევროპულ ბაზებში განთავსების საკითხებზე საქართველოს ეწვია ევროპის საპატენტო უწყების ექსპერტი.
- 2010 წლის 5 ივლისს ევროპის საპატენტო უწყების ექსპერტმა საქპატენტის წარმომადგენლებს გააცნო კომპიუტერული გამოგონებები და მათი ექსპერტიზის სპეციფიკა.
- 2010 წლის 1-3 ნოემბერს, ევროპის საპატენტო უწყებისა და დანიის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების მხარდაჭერით საქპატენტის ექსპერტებმა დანიის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყებაში წარმატებით გაიარეს სასწავლო კურსი გამოგონებებისა და სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის ძირეულ საკითხებზე.
- 2010 წლის 30 ოქტომბერს მაროკოში საქპატენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სემინარში თემაზე: „საპატენტო ინფორმაცია და საპატენტო ძიება".

2010 წელი გამოირჩეოდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან აქტიური თანამშრომლობით, რაც გამოიხატა საქპატენტის მონაწილეობით ისმო-ს მიერ ორგანიზებულ მრავალ შეხვედრაში, სესიაში, საკომიტეტო სხდომასა და სხვა ღონისძიებაში, კერძოდ:

information in the databases of EPO have been successfully concluded and the realization is planned for 2011. This particular step also serves to bring Sakpatenti close to the European patent system.

EPO assistance in organization of different trainings, seminars and workshops in 2010 is noteworthy, namely:

- On June 23, 2010, an expert from the European Patent Office visited Georgia concerning the matters of placement of patent information in European databases.
- On July 5, 2010, an expert from the European Patent office familiarized Sakpatenti representatives with computer-implemented inventions and specificity of their examination.
- On November 1-3, 2010, in cooperation with the European Patent Office and the Danish Patent and Trademark Office, Sakpatenti examiners completed successfully a study course at the Danish Patent and Trademark Office on basic issues of invention and trademark examination.
- On October 30, 2010, Sakpatenti staff members participated in the seminar in Morocco on the topic: Patent Publication at National Offices and Examples of Patent Searches.

The year 2010 is marked by active cooperation with the World Intellectual Property Organization (WIPO), which was manifested in the participation in numerous meetings, sessions, committee meetings and other events organized by the WIPO:

- On June 28, 2010, an expert from the World Intellectual Property Organization, Mr. Ronald Marchant paid

- 2010 წლის 28 ივნისს საქპატენტში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი რონალდ მარჩანი. ვიზიტის თემა იყო ეროვნული ბრენდინგის სტრატეგიის ჩამოყალიბების საკითხები. ეროვნული ბრენდინგი ის ინსტრუმენტია, რომელიც ხელს შეუწყობს კარგი რეპუტაციისა და იმიჯის მქონე ეროვნული პროდუქტის პოპულარიზაციას და შეუქმნის მას კონკურენტულ უპირატესობას საერთაშორისო ბაზარზე. ამავე თემაზე საქპატენტის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში უკრაინაში, ქ. იალტაში.
- 2010 წლის 20-29 სექტემბერს საქპატენტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ჟენევაში ისმო-ს წევრ სახელმწიფოთა ასამბლეაში
- 2010 წლის 10 მარტს საქპატენტის ოფიციალური დელეგაცია თურქეთის საპატენტო უწყებას ეწვია, სადაც დღის წესრიგში დადგა ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მიზნით თურქეთთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხი.
- 2010 წლის 7 დეკემბერს, ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით საქპატენტის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ისრაელს ეწვია და გაიზიარა გამოცდილება ტექნოლოგიების გადაცემისა (tech-transfer) და ინოვაციების კომერციალიზაციის დანერგვაში.
- 2010 წლის 4-5 ოქტომბერს იტალიაში, ქ. რომში საქპატენტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ისმო-სა და იტალიის საპატენტო უწყების მიერ ორგანიზებულ მე-8 ყოველწლიურ ფორუმში „ინტელექტუალური საკუთრება და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება“.
- 2010 წლის 30 ივნისს საქპატენტის დელეგაცია მონაწილეობდა სასაქონლო ნიშნების, დიზაინისა და გეოგრაფიუ-

an official visit to Sakpatenti. The issue of establishment of a nation branding strategy was the main topic of discussion. Nation branding is a tool which will facilitate popularization of national products having a good reputation and image and will create for them competitive advantage in the international market. Sakpatenti staff members participated in the follow-up working group meeting held in Yalta, Ukraine.

- On September 20-29, 2010, a delegation of Sakpatenti participated in the Assemblies of the Member States of the WIPO in Geneva.



*საქპატენტის თავმჯდომარის ირაკლი ღვალაძისა და მისი მოადგილის ეკატერინე ეგუტიას შეხვედრა ისრაელის საპატენტო კომისარ მეირ ნოამთან*
*Meeting of Sakpatenti Chairman Mr. Irakli Ghvaladze and Deputy Chairman Mrs. Ekaterine Egutia with Mr. Meir Noam, Israel Patent Commissioner*

- On March 10, 2010, an official delegation of Sakpatenti visited the Turkish Patent Office where the conclusion of a treaty for the purpose of protection of Georgian geographical indications was placed on the agenda.
- On December 7, 2010, in order to strengthen bilateral relations and share experience, a delegation of Sakpatenti paid an official visit to Israel and familiarized with the experience in the introducing of technology transfer and

ლი აღნიშვნების ისმო-ს მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომის მუშაობაში.

- მეტად მნიშვნელოვანია ტრადიციული ცოდნის სამართლებრივი დაცვის მექანიზმის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაცნობა. ამ მიზნით 2010 წლის 8-9 ივლისს საქპატენტის დელეგაცია ესწრებოდა პოლონეთში, ქ. ვარშავაში ისმო-ს ექსპერტთა რეგიონალურ შეხვედრას თემაზე – „ტრადიციული ცოდნა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში".
- 2010 წლის 25-27 აგვისტოს საქპატენტის დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა რუმინეთში, ქ. მანგალიაში ისმო-ს რეგიონალურ სემინარში – „კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა ბაზების დაცვა".
- 2010 წლის 30 სექტემბრიდან 3 აგვისტოს ჩათვლით ჟენევაში საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ლისაბონის სისტემის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრის მეორე სესიაში.
- 2010 წლის 2-3 ნოემბერს პრაღაში გამართულ რეგიონალურ სიმპოზიუმში თემაზე – „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულება" მონაწილეობა მიიღეს საქპატენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა.
- 2010 წლის 16-18 დეკემბერს თურქეთში,




*ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია იალტაში*
*Annual International Conference in Yalta*

innovations commercialization.

- On October 4-5, 2010, a delegation of Sakpatenti participated in the 8th Annual Forum on Intellectual Property and Small and Medium-Sized Enterprises, organized by the WIPO and the Patent Office of Italy.
- On June 30, 2010, a Sakpatenti delegation participated in the work of the WIPO Standing Committee on the Law of Trademarks, Industrial Designs and Geographical Indications.
- It is very significant to familiarize with the experience of various countries concerning the mechanism of legal protection of traditional knowledge. For this purpose a delegation from Sakpatenti attended a WIPO Inter-Regional Experts Meeting on Traditional Knowledge in Counties in Transition, held on July 8-9, 2010, in Warsaw, Poland.
- On August 25-27, 2010, Sakpatenti participated in the WIPO Sub-regional Seminar on the Protection of Computer Software and Databases in Mangalia, Romania.
- On September 30 – August 3, 2010, representatives of Sakpatenti took part in the second session of the Working Group on the Development of the Lisbon System in Geneva.
- On November 2-3, 2010, representatives of Sakpatenti and the Investigation Service of the Ministry of Finance of Georgia participated in the Interregional Symposium on Enforcement of Intellectual Property Rights (IPRs), held in Prague.
- On December 16-18, 2010, staff members of Sakpatenti participated in the

ქ. ანტალიაში საქპატენტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საერთაშორისო სემინარში „გეოგრაფიული აღნიშვნების, სოციალურ-ეკონომიკური მობილობის და ბიო-კულტურული თანასწორობის" თემაზე.

მნიშვნელოვანია, რომ 2010 წელს გაღრმავდა ურთიერთობები საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მთელი რიგი პროექტების განხორციელების მიზნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტ „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივასა" (USAID Economic Prosperity Initiative) და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GTZ), რის საფუძველზეც:

- 2010 წლის 25 თებერვალს საქპატენტსა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას (GTZ) შორის მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკებები ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების საკითხზე, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოში „ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრის" ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რაც გაზრდის პოტენციურ ინოვაციურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს გამოგონებების კომერციალიზაციას. მემორანდუმზე ხელმოწერა დაგეგმილია 2011 წელს.
- ეტაპობრივად ხორციელდება GTZ-თან თანამშრომლობა საქართველოში ტრადიციული კულტურის (ფოლკლორის) გამოხატულების სამართლებრივი დაცვის პროექტის განხორციელების ფარგლებში. საქპატენტის აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს შეიქმნას ძლიერი ბერკეტი, რომელიც ქართულ ფოლკლორს დაიცავს დამახინჯებისა და არალეგალური გამოყენებისაგან. გერმანიის მაქს პლანკის ინსტიტუტის ექსპერტი, ქართული ფოლკლორის შესწავლის საფუძველზე, შემოგვთავაზებს საქარ-

International Seminar on Geographical Indications (GIs), Socio-Economic Mobility and Bio-Cultural Equality, held in Antalya, Turkey.

To further implement a series of projects cooperation with the international donor organizations was strengthened. Noteworthy, the cooperation with the Economic Prosperity Initiative (EPI) of the United States Agency for International Development (USAID) and the German Technical Cooperation Society (GTZ), in terms of which Sakpatenti undertook the following activities:




*მემორანდუმის გაფორმება უნგრეთის საპატენტო უწყებასთან*
*Signing Memorandum with the Hungarian Patent Office*
*ფოტოზე: უნგრეთის საპატენტო უწყების პრეზიდენტი მიკლოს ბენძელი და საქპატენტის თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე*
*On the photo: Dr. Miklós Bendzsel, President of the Hungarian Patent Office and Mr. Irakli Ghvaladze, Sakpatetni Chairman*

- Sakpatenti and the German Technical Cooperation Society (GTZ) were actively involved in the discussion on the memorandum of understanding to facilitate the establishment of a Technology and Innovation Transfer System and Center (TITC) in Georgia. The main objective of the memorandum is to increase potential innovative possibilities and facilitate commercialization of inventions. The memorandum is supposed to be

თვულოსათვის მორგებულ კანონპროექტის ვარიანტს.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნის გავრცელებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, მასმედიისა და ბიზნესის წარმომადგენლებისათვის 2010 წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა GTZ-თან ერთობლივი ღონისძიებები, კერძოდ:

- 2010 წლის 25 ნოემბერს ბათუმში საქპატენტისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით მედიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სემინარი.
- 2010 წლის 21 დეკემბერს თბილისში



*შეხვედრა უფლებათა აღსრულების საკითხებზე*
*Workshop on Enforcement*
*ფოტოზე მარცხნიდან: ევროკავშირის დელეგაციის პროექტის მენეჯერი ვირჯინი კოსული, საქპატენტის თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე, საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე ეკატერინე ეგუტია*
*On the photo from left: Ms. Virginie Cossoul, Project Manager EC Delegation to Georgia, Mr. Irakli Ghvaladze, Chairman of Sakpatenti, Mrs. Ekaterine Egutia, Deputy Chairman of Sakpatenti*

ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სემინარი თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრების ძირითადი პრინციპები და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვა".

განაცხადების ელექტრონული წარდგენის სისტემის ჩამოყალიბებაში საქპატენტს მხარდაჭერას უწევს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა". პირველ ეტაპზე

signed in 2011.

- Cooperation with GTZ in terms of legal protection of traditional culture (expressions of folklore) in Georgia is phased. This initiative of Sakpatenti aims to create a strong instrument to protect Georgian folklore against distortion and illegal use. An expert from the Max Planck Institute of Germany, on the basis of study of Georgian folklore, will offer a draft law tailored to the country.

To disseminate knowledge and raise public awareness in the field of intellectual property, in 2010 a series of events were planned and implemented in cooperation with the GTZ for representatives of mass media and business. In particular:

- On November 25, 2010, a seminar was held in Batumi with the financial support of Sakpatetni and the German International Cooperation Society for representatives of mass media.
- On December 21, 2010 a seminar was organized for business representatives on the topic: Basic Principles of Intellectual Property and Protection of Intellectual Property Objects.

In the development of the electronic filing system of applications, Sakpatenti is supported by the Economic Prosperity Initiative (EPI) of the United States Agency for International Development (USAID). The first phase implies the analysis of the current business processes at Sakpatenti to simplify and facilitate information exchange/access and assessment of the resources necessary to run the project. The electronic filing system provides for simplification of relations between Sakpatenti and its partners and increasing effectiveness by

დაიგეგმა საქპატენტში მიმდინარე ბიზნესპროცესების ანალიზი მათი გამარტივებისა და ინფორმაციის გაცვლის/მისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით და პროექტის განხორციელებისათვის არსებული რესურსების შეფასება. ელექტრონული ფაილინგის პლატფორმა ითვალისწინებს საქპატენტსა და მის პარტნიორებს შორის ურთიერთობების გამარტივებასა და ეფექტურობის გაზრდას სპეციალიზირებული ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

2010 წელს საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირთან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) პროცესით გათვალისწინებულ ურთიერთობებში და ENP-ის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რეგულარულად აწვდიდა მას ინფორმაციას მიმდინარე საკანონმდებლო, საგანმანათლებლო და საკოორდინაციო საქმიანობებზე.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, საგანმანათლებლო და საკოორდინაციო ფუნქციების გაძლიერების, სახელმწიფოთა გამოცდილების შესწავლისა და საერთაშორისო ექსპერტთა მონაწილეობის მიზნით, საქპატენტმა აქტიურად გამოიყენა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (TAIEX) რესურსიც. TAIEX-ის დახმარების ფარგლებში საქპატენტის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სასწავლო მივლინებებში უნგრეთში, დანიასა და შვედეთში.

ევროკავშირის ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია:

- 2010 წლის 17 მაისს ქ. ბრიუსელში ევროკომისიის სოფლის მეურნეობის გენერალურ დირექტორატსა და საქპატენტისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ შეთ-

means of a specialized electronic program.

In 2010 Sakpatenti was deeply involved in the process of EU/Georgia dialogue in the framework of the European Neighbourhood Policy (ENP) Action Plan and regularly shared information on current legislative reforms, educational component and institutional coordination in the field of IPR.



*სადისკუსიო შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმებზე*
*Discussion Meeting on the mechanisms of IP protection*

Noteworthy, last year, to strengthen the educational and coordination functions, Sakpatetni made active use of the resource of the European Union technical assistance tool (TAIEX) as well. With the support of TAIEX, Sakpatenti staff participated in the study visits to Hungary, Denmark and Sweden.

Out of events carried out under the aegis of the European Union, the following worth mentioning:

- On May 17, 2010, representatives of the Directorate-General for Agriculture of the European Commission, Sakpatenti and the Ministry of Agriculture of Georgia discussed the issue of the draft Agreement between the European Union and Georgia on Protection of Geographical Indications of Agricultural Products and Foodstuffs in Brussels.




*საქპატენტის დელეგაცია ისმო-ს სესიაზე*
*Delegation of Sakpatenti at WIPO Session*
*ფოტოზე: საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე ეკატერინე ეგუტია*
*On the photo: Mrs. Ekaterine Egutia, Deputy Chairman of Sakpatenti*

ანხმების" პროექტთან დაკავშირებული საკითხები.

- 2010 წლის 13 ოქტომბერს თბილისში გამართული შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულების საკითხებზე.
- 2010 წლის 20 ოქტომბერს ბრიუსელში, საქპატენტის წარმომადგენლების მონაწილეობა აღმოსავლეთ პარტნიორობის საბჭოს სამუშაო შეხვედრაში ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული რეგულაციების საკითხებზე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.

2010 წელს საქპატენტმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან:

- 2010 წლის 26 აპრილს გაფორმდა მემორანდუმი ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან საქპატენტში და ჩატარდება ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული თემატური სემინარები.
- 2010 წლის 17 ივნისს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ბიზნეს ასო-

- A working group meeting on the effective enforcement of intellectual property rights took place in Tbilisi, on October 13,2010.
- On October 20, 2010, staff members of Sakpatenti participated in the Eastern Partnership Panel on Trade and Trade Related Regulatory Approximation to start the process of negotiations on the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTAs)

In 2010 Sakpatenti concluded memorandums of understanding with various educational institutions and organizations. Among them:

- A memorandum of understanding was signed with Ivane Javakhishvili Tbilisi State University on April 26, 2010. Within the memorandum the University students will be sent on internship to Sakpatenti and thematic seminars on intellectual property will be held.
- On June 17, 2010, a memorandum of understanding was concluded between the Business Association of Georgia. On October 7, 2010, a Committee for Agricultural Development and Intellectual Property Protection was set up at the Business Association. The basic directions of the Committee are matters linked with intellectual property protection. Within the framework of the close cooperation with Sakpatenti, the Association members will access easily the information available at Sakpatenti. Leading specialists of Sakpatenti will offer consultations to businessmen in drawing up applications for the purpose of registration of trademarks and patenting of inventions, etc.

ციაციასთან. 2010 წლის 7 ოქტომბერს ბიზნეს ასოციაციაში შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომიტეტი. კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. საქპატენტთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, ასოციაციის წევრებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იქნება საქპატენტში არსებული ინფორმაცია. საქპატენტის წამყვანი სპეციალისტები ბიზნესმენებს გაუწევენ კონსულტაციებს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისა და გამოგონებების დაპატენტების მიზნით განაცხადების შედგენისას და სხვ.

- 2010 წლის 15 დეკემბერს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა საქპატენტსა და „ქართული ღვინის ასოციაციას" შორის, რომელიც ითვალისწინებს ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების გამოვლენასა და დაცვას. მემორანდუმი ხელს შეუწყობს სამომხმარებლო ბაზარზე საქართველოში წარმოებული ღვინის პროდუქტებისთვის კონკურენტული გარემოს შექმნას და უზრუნველყოფს ქართული პროდუქციის ფალსიფიცირებისაგან დაცვას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საქპატენტი აგრძელებს აქტიური ნაბიჯების გადადგმას საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით და, ზემოჩამოთვლილი პროექტების განხორციელების კვალდაკვალ, მუშაობს ახალ მიმართულებებსა და იმ პროექტებზე, რომელთა განხორციელება დაგეგმილია მომავალი წლისათვის.

- On December 15, 2010, a memorandum of understanding was signed between the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti and the Georgian Wine Association, which provides for revealing and protection of appellations of origin of wines. The memorandum will facilitate creation of the competitive environment on the consumer market for wine products produced in Georgia and will provide protection of Georgian products against counterfeiting inside the country as well as outside its borders.

Sakpatenti continues taking active steps to strengthen the international cooperation and along with the implementation of the above-mentioned projects actively continues to meet the new challenges and implement new projects in the coming year.



*ვიზიტი დანიის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებაში*
*Visit to the Danish Patent and Trademark Office (DKPTO)*

# ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ
## MULTILATERAL AGREEMENTS

| ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ | ᲛᲘᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ<br>DATE OF ACCESSION | TITLE |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია | 25.12.1991 | WIPO Convention |
| სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია | 25.12.1991 | Paris Convention for the Protection of Industrial Property |
| საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება | 25.12.1991 | Patent Cooperation Treaty |
| ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია | 16.05.1995 | Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works |
| ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი | 20.08.1998 | Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks |
| შეთანხმება ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებების შესახებ (დსთ) | 04.06.1999 | Agreement on Measures for Prevention and Repression of use of False Trademarks and Geographical Indications (CIS) |
| შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS შეთანხმება) (ვმო) | 14.06.2000 | Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS Agreement) (WTO) |
| შეთანხმება ერთობლივი რეგიონული საპატენტო-საინფორმაციო პროდუქტის ოპტიკურ დისკებზე CD-ROM გამოშვების შესახებ | 22.05.2001 | Agreement on production of joint regional patent-information product on optical discs CD-ROMs |
| ᲘᲡᲛᲝ-ს საავტორო უფლებების ხელშეკრულება | 06.03.2002 | WIPO Copyright Treaty |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| ᲘᲡᲛᲝ-ს შესრულებებისა და ფონოგრამების ხელშეკრულება | 20.05.2002 | WIPO Performances and Phonograms Treaty |
| საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის ნიცის შეთანხმება ნიშნების რეგისტრაციის მიზნებისათვის | 28.02.2003 | Nice Agreement Concerning the International Classification of Goods and Services for the Purposes of the Registration of Marks |
| სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმება | 01.08.2003 | The Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs |
| ჰააგის შეთანხმების ჟენევის აქტი სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ | 23.12.2003 | Geneva Act of the Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs |
| ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმება | 23.09.2004 | Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration |
| საერთაშორისო კონვენცია შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ (რომის კონვენცია) | 14.08.2004 | International Convention for the Protection of Performers, Producers of Phonograms and Broadcasting Organizations (Rome Convention) |
| ბუდაპეშტის ხელშეკრულება საპატენტო პროცედურების მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ | 30.09.2005 | Budapest Treaty on the International Recognition of the Deposit of Microorganisms for the purposes of the Patent Procedure |
| მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV-ის კონვენცია) | 29.10.2008 | International Union for the Protection of New Varieties of Plants (UPOV) |

# ორმხრივი ხელშეკრულებები

# BILATERAL AGREEMENTS

| სახელწოდება | ხელმოწერის თარიღი | TITLE |
|---|---|---|
| უწყებათაშორისი შეთანხმებები | DATE OF SIGNING | INTEROFFICE AGREEMENTS |
| ოქმი საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო უწყების დელეგაციის ავსტრიის საპატენტო უწყებაში ოფიციალური ვიზიტის შესახებ | 03.09.1993 | Protocol of Visit of the Patent Office of Georgia to the Patent Office of Austria |
| მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ საქართველოს საპატენტო უწყებასა და გერმანიის საპატენტო უწყებას შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით | 17.10.1997 | Memorandum of Understanding on the negotiations between Georgian Patent Office and German Patent Office |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და საფრანგეთის სამრეწველო საკუთრების ეროვნულ ინსტიტუტს შორის ძირითადი და ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 15.01.1998 | Agreement on Cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia and the National Industrial Property Institute of France in the Field of Main and Technical Documentation Exchange |
| შეთანხმება საქართველოს საპატენტო უწყებასა და თურქეთის საპატენტო ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის შესახებ | 13.03.1998 | Cooperation Agreement between the Turkish Patent Institute and Georgian Patent Office |
| შეთანხმება საქართველოს საპატენტო უწყებასა და რუმინეთის საპატენტო უწყებას შორის თანამშრომლობის შესახებ | 01.07.1998 | Agreement on Cooperation between Patent Office of Georgia "Sakpatenti" and the Patent Office of Romania |
| პროტოკოლი განზრახვის შესახებ საპატენტო დაწესებულებებს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით (აზერბაიჯანის, თურქეთის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მონღოლეთის, ტაჯიკეთის რესპუბლიკებს შორის). | 12.11.1998 | Protocol of Intent concerning cooperation among patent institutions on the protection of industrial property (Between Republic of Azerbaijan, Georgia, Republic of Kazakhstan, Republic of Kyrgyzstan, Mongolia, Republic of Tajikistan, Republic of Turkey) |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ბულგარეთის საპატენტო უწყებას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 31.05.2001 | Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia "Sakpatenti" and the Patent Office of the Republic of Bulgaria on Cooperation in the field of Industrial Property. |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ლატვიის საპატენტო უწყებას შორის ინფორმაციის გაცვლაზე. | 26. 05. 2006 | Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia and the Patent Office of Latvia on Information Exchange. |
| მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ბიუროსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს შორის . | 16.06.2008 | Memorandum of Understanding between the State Patent Bureau of the Repblic of Lithuania and the National Intellectual Property Center of Georgia. |
| შეთანხმება საქართველოსა და უნგრეთის საპატენტო უწყებებს შორის თანამშრომლობაზე. | 22.09.2010 | Agreement on the cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti and the Hungarian IP Office. |

| სახელწოდება | ხელმოწერის თარიღი | TITLE |
|---|---|---|
| მთავრობათაშორისი შეთანხმებები | DATE OF SIGNING | INTERGOVERNMENTAL AGREEMENTS |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 28.05.1996 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of the Republic of Uzbekistan in the Field of Industrial Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 11.11.1997 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Kazakhstan in the Field of Industrial Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 05.12.1997 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Turkmenistan in the Field of Industrial Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 21.09.1998 | Agreement on Cooperation between the Executive Authority of Georgia and the Government of the Republic of Armenia in the Field of Industrial Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 07.12.1998 | Agreement on Cooperation between the Executive Authority of Georgia and the Cabinet of Ministers of Ukraine in the Field of Industrial Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 11.02.2004 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Russian Federation in the Field of Intellectual Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოსა და უკრაინას შორის ღვინის, სპირტიანი სასმელისა და მინერალური წყლის გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი ურთიერთდაცვის შესახებ | 01.03.2007 | Agreement on Cooperation between Georgia and Ukraine on Mutual Legal Protection of Geographical Indications of Wines, Spirits and Mineral Waters |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 20.05.2009 | Agreement between the Government of Georgia and Government of Republic of Azerbaijan on the protection of Industrial Property |

# მემორანდუმები ორგანიზაციებთან

## MEMORANDUMS WITH ORGANIZATIONS

| სახელწოდება | ხელმოწერის თარიღი<br>DATE OF SIGNING | TITLE |
|---|---|---|
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქპატენტს შორის | 26.04.2010 | Memorandum of Understanding between I. Javakhishvili Tbilisi State University and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 17.07.2010 | Memorandum of Understanding between Business Association of Georgia and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ღვინის ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 15.12.2010 | Memorandum of Understanding between Wine Association of Georgia and Sakpatenti |

# საინფორმაციო საქმიანობა

# INFORMATION ACTIVITY

ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლისათვის სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ინფორმაციის გავრცელებასა და ადვილად ხელმისაწვდომობას. ამ თვალსაზრისით, სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს საქპატენტის ვებგვერდი (www.sakpatenti.org.ge), რომელიც წარმოადგენს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებას. ვებგვერდი აღჭურვილია მოსახერხებელი საძიებო მექანიზმითა და საიტის რუკის გენერირების საშუალებით.

ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილია ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების საქართველოში დაცვის სამართლებრივი ასპექტების შესახებ. აქვეა ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, ეროვნული მონაცემთა ბაზები, ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, პატენტრწმუნებულთა საკონტაქტო მონაცემები და განმცხადებლისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია.

ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების თითოეული ობიექტის შესახებ. მაგალითად, განყოფილებაში „პატენტები" არსებობს განმცხადებლის გვერდი, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შესახებ, განაცხადის ბლანკის ნიმუშებს,

Development of Intellectual potential and economical advance of county requires easy accessibility of information in the field of Intellectual property and its expansion. In this respect, along with the Official Industrial Property Bulletin, Sakpatenti web page (http://www.sakpatenti.org.ge) plays important part. It serves as the most convenient means to get information on Intellectual Property Protection of Georgia. The web page has a flexible search engine and a site map generating means.

The information on the web page is presented on both Georgian and English languages and concerns the legal protection of Intellectual Property in the country. Web page also offers a wide range of opportunities to users. In particular, it contains the information concerning the organization activity, national databases, legislation regulating IP, contact information of the patent attorneys, etc.



ინფორმაციას ექსპერტიზის პროცედურის შესახებ და სხვ. ასეთივე წესითაა წარმოდგენილი სხვა ობიექტების შესაბამისი განყოფილებებიც: „სასაქონლო ნიშნები“, „გეოგრაფიული აღნიშვნები“, „საავტორო უფლებები“ და „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები“. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს, „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ვებგვერდს დაემატა განყოფილება „დიზაინი“.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, განახლებულ ვებგვერდზე წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი განყოფილებები:

„კანონმდებლობა“ – აქ თავმოყრილია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი ეროვნული კანონები, კანონქვემდებარე აქტები და ის საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები, რომელთა წევრიცაა საქართველო.

„პუბლიკაციები“ – ეს არის მუდმივად განახლებადი განყოფილება, რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა მოცემული საქპატენტის ოფიციალური გამოცემები: სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენები, წლიური ანგარიშები და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს ოპერატიულად, გამოცემის დღესვე (ყოველი თვის 10 და 25 რიცხვში) გაეცნოს მიმდინარე ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებულ მასალებს, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს დროულად გაასაჩივროს ექსპერტიზის გადაწყვეტილებები სასამართლოში ან საქპატენტის სააპელაციო პალატაში.

„ბიბლიოთეკა“ – ვებგვერდის ამ განყოფილებაში მოცემულია საქპატენტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი საპატენტო ფონდისა და ქართულ და უცხო ენებზე გამოცემული 1000-ზე მეტი დასახელების დარგობრივი ლიტერატურის დეტალური ჩამონათვალი.

Web page offers information on each subject–matter of Intellectual Property. For example, under the ′′Patents′′ user sees the applicant′s page, details of the invention and utility models, samples of application forms, information on the examination procedure etc.

Similarly are structured other IP subject-matters, such as ′′Trademarks′′, ′′Geographical Indications′′, ′′Copyright′′ and ′′New Varieties/Breeds′′. Noteworthy, after the new Law on Design entered into force, new section was added on ′′Design′′.

Besides, the renewed web page represents some general sections:

,,Legislation′′ – a collection of all national laws in the field of IP, legislative acts, international agreements and conventions acceded by Georgia.

,,Publications′′ – continuously updating section with the chronological sequence of Sakpatenti official publications as follows: Official Bulletins of Industrial Property and New Varieties of Plants and Animal Breeds, Annual Reports and etc. It is significant that any interested party can timely access published information in Bulletin on the date of publishing (each month on 10 and 25) to appeal examination decisions in time either in the court or at Sakpatenti Chamber of Appeals.

,,Library′′ – displays the details on the patent information bank and precise list of more than 1000 field materials in Georgian and different foreign languages.

,,News′′ and ′′Video News′′ – lists the collections of top news. It is noteworthy that the Year 2010 was marked by huge number of new events, such

„სიახლეები“ და „ვიდეო სიახლეები“ – ამ განყოფილებაში თავმოყრილია საქპატენტში განხორციელებული მთავარი სიახლეები, რომლებიც ოპერატიულად აისახება ვებგვერდზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელი გამოირჩეოდა სიახლეთა სიუხვით. ეს იყო ოფიციალური შეხვედრები, სემინარები, ტრენინგები, სხვადასხვა ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმება და სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ღონისძიებები. ამჟამად ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მათ „სიახლეთა არქივში“.

„საფასურები“ – აქ მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასა და დეპონირებასთან დაკავშირებული საქმისწარმოების თითოეული ეტაპისათვის გათვალისწინებული მომსახურების საფასურები.

მნიშვნელოვანია, რომ ვებგვერდი აღჭურვილია საკონტაქტო ფანჯრით, რომლითაც მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერი სახის შეკითხვისა თუ წინადადების გამოგზავნა საქპატენტში.

საქპატენტში 2010 წლის სიახლეა ცხელი ხაზის ამოქმედება. შესაბამისად, ვებგვერდის თვალსაჩინო ადგილზე გაჩნდა წარწერა ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრების მითითებით.

საქპატენტის ბაზაზე ფუნქციონირებს ინტელექტუალური საკუთრების ბიბლიოთეკა, რომელიც დიდ როლს ასრუ-




as official meetings, seminars, trainings, signed memorandums and various local and international events. Any interested person can access them under the ''News Archive''.

,,Fees'' on services of granting patents, registration or deposition of intellectual property subject-matters on each stage of processing are given under the section. It is significant that the website offers interaction through the contact form giving opportunity to interested person forward any question or offer on IP.

Sakpatenti offers recently introduced hotline service displayed on the interface of website.

The Intellectual Property Library, functioning at Sakpatenti, plays a major role in the direction of the public awareness raising and dissemination of knowledge in the intellectual property field in Georgia.

The library houses a unique and continuously updating collection of patent information. At present national patent collection of the library counts up to 6900 specifications of inventions and utility models, stored on electronic carriers in the form of systemic and numeric catalogs compiled in accordance with the Official Bulletins of Industrial Property and International Classifications. Patent information of foreign countries is preserved on CD and DVD-ROM discs the total number of which reached 11900 by 2010. Among them are: patent documentation of the World Intellectual Property Organization, the European Patent Office, Austria, Russia, USA, France, Japan and other countries. The library

ლებს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ინფორმირებისა და ცოდნის გავრცელების საქმეში.

ბიბლიოთეკაში დაცულია საპატენტო ინფორმაციის უნიკალური და მუდმივად განახლებადი ფონდი. ბიბლიოთეკაში არსებული ეროვნული საპატენტო ფონდი ამჟამად მოიცავს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტების 6900-მდე აღწერილობას, რომლებიც ინახება ელექტრონულ მატარებლებზე, სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენებისა და საერთაშორისო კლასიფიკატორების შესაბამისად შედგენილი სისტემური და ნუმერაციული კატალოგების სახით. საზღვარგარეთის ქვეყნების საპატენტო ინფორმაცია კი ინახება CD და DVD-ROM დისკებზე, რომელთა საერთო რაოდენობამ 2010 წლისათვის 11900 ერთეული შეადგინა. მათ შორისაა: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის საპატენტო უწყების, ავსტრიის, რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების საპატენტო დოკუმენტაცია. ამჟამად ყველასთვის ხელმისაწვდომია: ევროპის საპატენტო უწყების მონაცემთა ბაზები (INPADOC და ESPACENET), აგრეთვე, ევრაზიის საპატენტო ორგანიზაციის (EAPATIS), აშშ-ს საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების, როსპატენტის, გერმანიის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების (DEPATISNET) მონაცემთა ბაზები, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების რეგიონის პატენტები (ESPACE PRECES) და სხვ.

საქპატენტის ბიბლიოთეკის მკითხველთათვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული ქართულ და უცხო ენებზე გამოცემული 1000-ზე მეტი დასახელების დარგობრივი ლიტერატურა: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის პუბლიკაციები, საერთაშორისო კლასიფიკატორები, სამეცნიერო-ტექნი-



*საქპატენტის ბიბლიოთეკაში*
*At Sakpatenti Library*

offers its visitors access to the following databases: INPADOC and ESPACENET – the database of the European Patent Office, the databases of ROSPATENT, the databases of the United States Patent and Trademark Office, EAPATIS – the database of the Eurasian Patent Organization, ESPACE PRECES – patents from the region of Eastern and Central European states, DEPATISNET – the database of the German Patent and Trademark Office, etc.

More than 1000 titles of related intellectual property literature published in Georgian and foreign languages are available to readers: publications of the World Intellectual Property Organization, international classifications, scientific and technical literature, encyclopedias, dictionaries and reference books, among these are Sakpatenti publications as well (Official Bulletins of Industrial Property, classification indexes, annual reports, international classifications, books, journals and brochures translated into the Georgian language).

It is significant that at the library any interested person is able to receive

კური ლიტერატურა, ენციკლოპედიე-ბი, ლექსიკონები და ცნობარები, მათ შორისაა საქპატენტის გამოცემებიც (სამ-რეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები, სისტემური საძიებლები, წლიური ანგარიშები, ქართულ ენაზე თარგმნილი საერთაშორისო კლას-იფიკატორები, წიგნები, ჟურნალები და ბროშურები).

მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკა-ში ყველა დაინტერესებულ პირს შესა-ძლებლობა აქვს მიიღოს პირველადი კონსულტაცია სამრეწველო საკუთრების დაცვისუნარიანი ობიექტების გამოსავ-ლენად, სხვადასხვა მონაცემთა ბაზით სარგებლობისა და განაცხადის სწორად გაფორმების შესახებ. აქ პოტენციურ გან-მცხადებელს ეხმარებიან სარეგისტრა-ციოდ წარსადგენი საპატენტო ობიექტის საერთაშორისო საკლასიფიკაციო ინდ-ექსისა და სასაქონლო ნიშნის საქონლის კლასების განსაზღვრაში, სურვილის შემთხვევაში კი უმზადებენ პატენტის აღწ-ერილობებისა და დარგობრივი ნორმა-ტიული დოკუმენტაციის ასლებს.

2010 წელს ბიბლიოთეკის მომსახ-ურებით ისარგებლა 300-მდე დაინტე-რესებულმა პირმა, მათ შორის: გამომ-გონებლებმა, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა, მეცნიერ-მუშაკებმა, სტუდენტებმა და პენსიონერებმა.

primary consultation on the identification of protectable industrial property objects, on using various databases and drawing up an application properly. Assistance is rendered to potential applicants in identification of the international classification index of a patent object to be submitted for registration and classes of goods of a trademark. Copies of patent specifications and related legal acts can be made for them upon request.

In 2010 up to 300 interested persons used library service, among them are: inventors, representatives of small and medium-sized enterprises, researchers, students and retirees.



# ინფორმაციული ტექნოლოგიები

# INFORMATION TECHNOLOGIES

2010 წელს ჩატარდა რიგი სამუშაოები საქმის წარმოების ადმინისტრირების ავტომატიზირებული სისტემის მოდიფიკაციისა და მონაცემთა დამუშავების გაფართოების თვალსაზრისით, კერძოდ დასრულდა საავტორო უფლებებზე განაცხადების ადმინისტრირების სისტემის შემუშავება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული განაცხადის საფასურის აღრიცხვის ფუნქციით.

სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებზე საქმის წარმოების ადმინისტრირების ავტომატიზირებულ სისტემაში განხორციელდა მოდიფიკაცია, კერძოდ:

- განხორციელდა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული განაცხადის საფასურის აღრიცხვის შემუშავება ვალუტის კონვერტაციის ფუნქციის გათვალისწინებით;
- დაემატა მოდულები სასაქონლო ნიშნებზე და დიზაინზე დაჩქარებული საქმისწარმოებისათვის;
- სამრეწველო საკუთრების ოთხივე ობიექტზე საქმისწარმოების ტექნოლოგიურ პროცესში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერ-

A series of works were carried out to modify the automated system of administration of proceeding and extension of data processing, namely the elaboration of the system of administration of copyright applications was finalized with the function of the recording of the application fee determined by the Resolution of the Government of Georgia on Approval of Fees of Services Related to Patenting, Registration and Deposition of Intellectual Property Objects.

The automated system of administration of proceeding on industrial property objects was modified, in particular:

- Recording of the application fee determined by the Resolution of the Government of Georgia on Approval of Fees of Services Related to Patenting, Registration and Deposition of Intellectual Property Objects taking into account the currency converting function was elaborated;
- Modules were added for accelerated procedure of trademarks and designs;
- Significant changed were made to the technological process of proceeding on all the four objects of industrial property, namely: forms of correspondence were changed; technological operations were added, which are linked with forms of correspondence; forms of applications were changed.
- On the basis of the negotiations with the European Patent Office, patent data were generated according to the agreed

ძოდ: შეიცვალა მიმოწერის ფორმები; დაემატა ტექნოლოგიური ოპერაციები, რომლებიც მიმოწერის ფორმებთან არის დაკავშირებული; შეიცვალა განცხადების ბლანკები.

- ევროპის საპატენტო უწყებასთან გამართული მოლაპარაკების საფუძველზე მოხდა შეთანხმებული სტანდარტით საპატენტო მონაცემების გენერაცია XML ფორმატში და მომზადდა სრული აღწერილობები PDF ფორმატში, გლობალურ საპატენტო მონაცემთა ბაზებში ჩასატვირთად;
- მომზადდა საქპატენტის ვებგვერდზე სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში პრიორიტეტმინიჭებულ განაცხადებზე მონაცემთა განთავსების კონცეფცია.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა გამოგონებების და სასარგებლო მოდელების სრული აღწერილობების მომზადება PDF ფორმატში საქპატენტის მონაცემთა ბაზებში განსათავსებლად.

ყოველთვიურად მზადდებოდა ინფორმაცია საქართველოში ნაციონალურ ფაზაში შესული PCT განაცხადების შესახებ ევროპის საპატენტო უწყების მონაცემთა ბაზაში (INPADOC) განსათავსებლად.

გრძელდებოდა სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებული პატენტების დოკუმენტაციის მომზადება დსთ-ს ქვეყნების საერთო CD-ROM დისკებზე განსათავსებლად.

საანგარიშო პერიოდში მონაცემთა ბაზიდან ამოკრეფილი ინფორმაცია მიეწოდა საგამომცემლო-სარედაქციო განყოფილებას ოფიციალური ბიულეტენებში გამოქვეყნებული ობიექტების საძიებლების გამოსაცემად.

რეგულარულად ხორციელდებოდა გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და დიზაინზე შემოსული განაცხადების ბიბლიოგრაფიული მონაცემების, რეფერატების, ნახაზების, გამოსახულებები-

standard in the XML format and complete specifications were prepared in the PDF format, for publishing in the global patent databases.

- The concept on publishing application data with granted priorities in the trademark database was worked out.

In the reporting period preparation of complete specifications of inventions and utility models in the PDF format continued, intending for publishing on the Sakpatenti databases.

Every month the work continued to prepare information on the PCT applications entered in the national phase in Georgia for the database of the European Patent Office (INPADOC).

Every quarter and at the end of the year the bilingual version of industrial property was prepared on CD-ROMs for various patent offices and international organizations.

In the reporting period on the basis of the information extracted from the database numeric, nominal and systematic indexes were made up for all the four industrial property objects.

The documentation of patents published in the official bulletin of industrial property was prepared for publishing on the common CD-ROM disc of the CIS countries.

The bibliographic data, abstracts, drawings, images and additional materials of applications filed for inventions, utility models and designs were placed in the database regularly.

According to the specificity of the Sakpatenti proceedings, applications and related documentation were regularly processed electronically and entered in the databases. In particular, reflected materials in databases are as follows: 359 applications for inventions, 63 for

სა და დამატებითი მასალების განთავსება მონაცემთა ბაზაში.

საქპატენტში საქმისწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, რეგულარულად ხორციელდებოდა განაცხადებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ელექტრონული დამუშავება და მონაცემთა ბაზებში განთავსება. კერძოდ, 2010 წლის მანძილზე მონაცემთა ბაზებში განთავსდა: 359 განაცხადი გამოგონებაზე, 63 – სასარგებლო მოდელზე, დიზაინზე – 47 ადგილობრივი და 186 – ჰააგის საერთაშორისო შეთანხმებით შემოსული განაცხადი, ხოლო სასაქონლო ნიშნებზე 1378 ადგილობრივი და 2864 მადრიდის ოქმის შესაბამისად შემოსული განაცხადი.

ზემოაღნიშნულ განაცხადებთან დაკავშირებით, დამუშავდა და მონაცემთა ბაზებში განთავსდა, აგრეთვე, გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის 418 რეფერატი და 333 ნახაზი, დიზაინის ადგილობრივი განაცხადების 818 და ჰააგის შეთანხმებით შემოსული განაცხადების 5352 ხედი, ასევე, სასაქონლო ნიშნების – 1300 ადგილობრივი განაცხადების და 2864 მადრიდის ოქმით შემოსული განაცხადების გამოსახულებები.

გარდა ამისა, რეგულარულად მიმდინარეობდა განაცხადებთან დაკავშირებული წერილების მონაცემთა ბაზებში განთავსება. კერძოდ, გამოგონებებზე დამუშავებული შემოსული და გასული წერილების ჯამმა შეადგინა 11051, სასარგებლო მოდელზე – 1007, დიზაინზე – 399, ხოლო სასაქონლო ნიშანზე კი – 4725 წერილი.

ზემოაღნიშნულ სამუშაოთა პარალელურად მიმდინარეობდა ყველა დოკუმენტის ელექტრონული არქივაცია.



*სემინარი ელექტრონული განაცხადების სისტემის შესახებ*
*Seminar on e-filling*

utility models; 47 local applications for designs, and 186 applications filed under the Hague International Agreement; 1378 local applications for trademarks, and 2864 applications filed under the Madrid Protocol.

In connection with the above-mentioned applications, 418 abstracts and 333 drawings of inventions and utility models, 818 images of local design applications and 5352 images of applications filed under the Hague Agreement, as well as images of 1300 local applications for trademarks and 2864 applications filed under the Madrid Protocol were processed and published in the database.

Along with this, letters linked with applications were regularly published in the databases. Namely, the total number of processed ingoing and outgoing letters related to inventions reached 11051, those related to utility models – 1007, design – 399, and trademarks – 4725.

Electronic archiving of all documents was conducted in parallel with the above-mentioned activities.

# საგამომცემლო საქმიანობა

## PUBLISHING

საპატენტო ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის თვალსაზრისით, საქპატენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საგამომცემლო საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს უწყებაში არსებული სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება თანამედროვე პოლიგრაფიული დანადგარებით აღჭურვილი სტამბის მეშვეობით. საუწყებო სტამბა საშუალებას გვაძლევს უმოკლეს დროში გამოვცეთ არა მხოლოდ სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები და დარგობრივი ლიტერატურა (წიგნები, ჟურნალები და ბროშურები), არამედ ყველა საჭირო ფორმატის ევროპული სტანდარტის პოლიგრაფიული პროდუქცია.

პარიზის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, ისევე როგორც ისმო-ს წევრი ყველა ქვეყნის საპატენტო უწყება, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ გამოსცემს „სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენს“, რომელიც გამოდის არა მხოლოდ ქართულ ენაზე, არამედ გამოიცემა მისი ორენოვანი (ინგლისურ/რუსული) ვერსიაც. ბიულეტენში ქვეყნდება მონაცემები იმ განაცხადების შესახებ, რომლებზეც გამოტანილია ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილება (გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელების რეფერატები, დიზაინებისა და სასაქონლო ნიშნების გამოსახულებები), ასევე, ინფორმაცია რეგისტრირებული ობიექტების შესახებ. მონაცემები გამოქვეყნებულია ობიექტის შესაბამისი საერთაშორისო



From the viewpoint of dissemination of patent information and raising public awareness, publishing activity is one of the significant directions of Sakpatenti. It is carried out by the Editorial-Publishing Section, functioning at Sakpatenti, by means of the printing-office equipped with modern polygraphic facilities. The printing-office allows issuing not only official bulletins of industrial property and special literature (books, journals and brochures), but also European-standard polygraphic production of any format in a short period of time.

According to the requirements of the Paris Convention, the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti publishes the Official Bulletin of Industrial Property in the Georgian language as well as its bilingual (English-Russian) version. The Bulletin contains data concerning applications for which a posi-

კლასიფიკაციის ინდექსებით. ბიულეტენშივე ქვეყნდება ყველა ინფორმაცია ამა თუ იმ ობიექტის რეგისტრაციის ბათილად ცნობის, გაუქმების, უფლებების გადაცემის შესახებ და სხვ.

სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი გამოდის თვეში ორჯერ, ზუსტად განსაზღვრულ დღეებში – 10 და 25 რიცხვში და შესაბამისი ელექტრონული ვერსიები იმავე დღეს გამოიფინება საქპატენტის ვებგვერდზე. საგულისხმოა, რომ ბიულეტენის გამოსვლის თარიღს იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ამ დღიდან აითვლება ის ვადები, რომლის განმავლობაშიც მესამე პირებს შესაძლებლობა აქვთ სასამართლოში ან საქპატენტის სააპელაციო პალატაში გაასაჩივრონ ექსპერტიზის გადაწყვეტილებები.

